

დავით სართანია

ივანე ჯავახიშვილი
უნივერსიტეტის ამოცანებზე
საქართველოსა და კავკასიის მომავალისათვის

თბილისი

2010

UDC (უაკ) 94 (479.22) (092)

ს-286

ნაშრომში განხილულია საქართველოს საზოგადოებრივ -პოლიტიკური ვითარება 1918 წლის პირველ ნახევარში, როცა თბილისში დაარსდა და ფეხი აიდგა ივანე ჯავახიშვილის მიერ დაარსებულმა უნივერსიტეტმა. ნაშრომს თან ერთვის ივანე ჯავახიშვილის "მოხსენება ტფილისის ქართული უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის მომავალი სამოქმედო გეგმის შესახებ".

რედაქტორი: მარინე მესხია
ისტორიის დოქტორი

რეცენზენტები: ნუგზარ ანთელავა
ისტორიის დოქტორი
გია ჩხიკვიშვილი
ისტორიის დოქტორი

© დავით სართანია, 2010.

გამომცემლობა: "ჩაბიჩაძე და კომპანია"

ISBN 978-99941-0-2937-0

ქართველ ერს თავისი მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე მშვიდი ცხოვრებისა და განვითარების საშუალება თითქმის არა ჰქონია. გამონაკლისი არც XX საუკუნე გამოდგა, რომელმაც სანუკვარი გამონათების ეპიზოდებიც აჩუქა ერის ისტორიას, მაგრამ ძირითადად დიდი იმედგაცრუებისა და უზომო სისხლის ღვრის ეპოქად მოგვევლინა. ასეთ ვითარებაში ეროვნული ფასეულობების გადარჩენა გონიერ და თავდადებულ ადამიანებზეა ხოლმე დამოკიდებული.

XX საუკუნეში ერთ-ერთი ასეთი მამულიშვილთაგანი უპირველესი ივანე ჯავახიშვილი იყო. მან ერთადერთმა შეძლო მცირე თანამზრახველთა წრე შეეკრა და ყველაფერი გააკეთა უნივერსიტეტის სახით ერისთვის საგანმანათლებლო და სამეცნიერო კერა შეექმნა.

ივანე ჯავახიშვილმა ზუსტად ის მისია იკისრა, რომელიც ერს იმ დროს ყველაზე მეტად სჭირდებოდა. მან ის გზა გააგრძელა, რომელსაც ილიამ დაუდო სათავე. თავის დროზე ხომ ილია ჭავჭავაძემ იტვირთა ის, რაც მაშინდელი საქართველოსათვის ყველაზე მთავარი იყო – **ერის გამოფხიზლება**. ერი უნდა გამოსულიყო ლეთარგიული ძილიდან და მოქმედება დაეწყო. «სულ ძილი, ძილი» კი არა, მოქმედება იყო საჭირო. ქართველები ახლა ახალ ვარსკვლავს უნდა გაჰყოლოდნენ და ახალი მყოფადი უნდა ეშვათ. ქართველთა უკეთეს შვილებს ახალი მომავალი უნდა მიეცათ ხალხისათვის.

მომდევნო ეტაპი კი გამოფხიზლებული ერის ცხოვრებისა და მოქმედების განათლებაზე და სამეცნიერო საფუძველზე დამკვიდრება იყო. უცხოეთში განათლების მიღების სიძნელე იმდენად არაფერი, მთავარი ის იყო, რომ ეს განათლებული ხალხი უცხოეთშივე რჩებოდა. მათ ასპარეზი სამშობლოში დახშული ჰქონდათ. მათი სამეცნიერო წარმატებები იმ ქვეყანას აძლიერებდა, სადაც მოღვაწეობდნენ და მათი შრომა ქართულ საქმეს ნაკლებად ადგებოდა, ერის სატკივარს ნაკლებად კურნავდა. საჭირო იყო ამ დაცალკავებული ეროვნული ინტელექტუალური ძალების ერთად შეკრება და ეროვნული მეცნიერების დაფუძნება. იქნებ თანდათან დროს ნანატრი და სანუკვარი ეროვნული თავისუფლებაც მოეტანა, მაგრამ ეს თავისთავად არ მოვიდოდა, მას გარჯა და საქმე სჭირდებოდა და თანაც საიმისო პირობები უნდა დამდგარიყო.

* * *

1914 წ. ზაფხულში დაიწყო I მსოფლიო ომი. ერთმანეთს დაუპირისპირდა, ერთი მხრივ, რუსეთის, ინგლისისა და საფრანგეთის დაჯგუფება და, მეორე მხრივ, გერმანია და ავსტრია-უნგრეთი. მათ შემდეგში სხვა ქვეყნებიც შეუერთდა: პირველს იტალია, რუმინეთი და ამერიკის შეერთებული შტატები, მეორეს კი თურქეთი და ბულგარეთი. სულ საომარ ოპერაციებში მონაწილეობდა მსოფლიოს 33 ქვეყანა. ომში ასევე ჩათრეული აღმოჩნდა ამ ქვეყნების მიერ დაპყრობილი ხალხები.

ერთი ქართული ანდაზა ამბობს: «ქათამმა თქვაო, ხარი რომ დაკლეს, მე დამაკლეს, ცხვარი რომ დაკლეს მე დამაკლეს და გოჭიც რომ დაკლეს ისევ მე დამაკლესო». ამგვარი ბედი ქართველობას სამწუხაროდ მისმა ისტორიამ მიუსაჯა.

დიდი სახელმწიფოები ერთმანეთში ვერ მორიგდნენ და ამჟამად რუსებმა ქართველები კიდევ ერთხელ გაილაღეს ბრძოლის ველზე. მათ განსაკუთრებით კავკასიის ფრონტზე მოუყარეს თავი – თქვენთვის ისტორიული მიწაწყალია და აჰა, გემლევით საშუალება თურქებისგან გაანთავისუფლოთო. სახნავი თქვენი, სახრავი ჩვენიო. ჰოდა ქართველობაც ხნავდა – სისხლს ღვრიდა და იმპერიის იძულებით სამსახურში შორეულ მომავალზე ფიქრობდა – იქნებ თუნდაც რუსეთის იმპერიის ფარგლებში ნელ-ნელა შეკოწიწდეს დაქუცმაცებული საქართველო, ოღონდ გაერთიანდეს და მერე სხვა საშველიც იქნებ გამოჩნდესო.

რუსეთს ბედი არ სწყალობდა და ბრძოლას ბრძოლაზე აგებდა. იმპერიაში დამაბულობა მატულობდა. ომისგან გამოწვეული სიდუხჭირე აუტანელი ხდებოდა.

1917 წ. 1 მარტს თბილისში გამოვიდა გაზეთი «სახალხო ფურცლის» 807-ე ნომერი. მისი პირველი გვერდის ბოლო სვეტი და მეორე გვერდის დასწყისი ცარიელია. ეტყობა, დასაბეჭდი მასალა ცენზურას არ მოეწონა და ამოიღო. ახლით კი მისი შევსება ვერ მოესწრო. ასეთი რამ მაშინ ხშირად ხდებოდა. არავინ იცის რა ეწერა დაწუნებულ მასალაში, მაგრამ მომდევნო ნომრები მოკრძალებულად მოგვითხრობენ იმპერიის დედაქალაქში მომხდარ ამბებს.

იგივე გაზეთი 2 მარტის ნომერში წერდა: «ჯერ არაა დაწვრილებითი ცნობები პეტროგრადის და მოსკოვის ამბების შესახებ. არც იმის ცნობებია, თუ რა იყო პირდაპირი მიზეზი სათათბიროს დათხოვნისა. ხოლო უნდა ითქვას, რომ მდგომარეობა ეტყობა, ძლიერ გართულებულია. ამას მოწმობს, სხვათაშორის, დეპუტატების კერძო თათბირის გადაწყვეტილება: ვსთხოვთ მთავრობას უიარაღო ხალხის წინააღმდეგ სასტიკ ზომების ხმარებას მოერიდოსო». 3 მარტს იმავე გაზეთში ახალი ცნობების მომოხილვას სათაურად აქვს: «მთავრობის გამოცვლა». იქვე აღნიშნულია: «მოთმინების ფიალა აივსო. ხალხი ამოძრავდა, ხალხმა გამოიღვიძა და მოითხოვა გადაყენება იმათი, ვინც ამ განწირულების ჟამს

თავის ბატონობის შენარჩუნებისათვის არ ზოგავს ქვეყნის ინტერესებს და განაგრძობს ძველებურ დახავსებულ პოლიტიკის (ასე წერია, დ.ს.) წარმოებას: ერების ჩაგვრას, საზოგადოებრივ ძალთა დევნას და თავისუფლად სუნთქვის აკრძალვას. და როცა სურსათ-სანოვაგის ნაკლებობამ საშიში ხასიათი მიიღო – მოხდა ის, რაც დიდი ხანია უნდა მომხდარიყო: ხალხი ქუჩაში გამოვიდა, ხოლო თითქოს ამის საპასუხოდ სათათბირო დაითხოვეს... «.

«პეტროგრადში ქერი, შვრია და თივა გამოიღია, ხოლო ცხენების გამოკვება პურით დასჭირდათ. ამან კრიზისი კიდევ უფრო გაამწვავა. პირუტყვსაც გაუჭირდა და ხალხსაც» – აცხადებს გაზეთი და იქვე აკონკრეტებს: «პეტროგრადის ხალხი ხატითა და ჯვრით დადის ქუჩაში და გაიძახის: გვშიან, პური მოგვეცით, ვიხოცებითო!» «რუსეთის ცხოვრებაში დგება ახალი ხანა» ასკვნის გაზეთი და და იქვე ხსნის საქმის არსს: «სურსათის საქმე ხდება სახელმწიფოებრივ, პოლიტიკურ საქმედ. რუსეთი ტორტმანებს და სატახტო გაზეთები თუ დეპუტები ჯერ ტორტმანისა და ჭიდილის ამბებს გადმოგვცემენ».

ეს ტორტმანი რევოლუცია იყო, რომელსაც ისტორიაში 1917 წლის თებერვლის რევოლუცია ჰქვია. შექმნილი მძიმე ვითარების განსამუხტავად იმპერატორი ნიკოლოზ II ტახტიდან გადადგა და ტახტი გადასცა თავის ძმას მიხეილს. ეს მოხდა 1917 წ. 2 მარტს ქ. ფსკოვში. მაგრამ მიხეილმა ვერ გაბედა ტახტის დაკავება და შემდეგი განცხადება გამოაქვეყნა: «მეტად მძიმე ტვირთი დამაკისრა ჩემმა ძმამ, რომელმაც გადმომცა რუსეთის საიმპერატორო ტახტი უმაგალითო ომისა და სახალხო არეულობის დროს. გამსჭვალული ხალხთან იმ აზრით, რომ ყველაზე მალეა დგას სამშობლოს კეთილდღეობა, მტკიცედ გადავწყვიტე მივიღო ხელმწიფობა მხოლოდ, თუ ასეთი იქნება ნება ჩვენის დიადი ერისა, რომელმაც დამფუძნებელ კრებაზე თავის წარმომადგენლების პირით უნდა დააწესოს სახელმწიფოებრივი სახე და რუსეთის იმპერიის ძირითადი კანონები. ამიტომ ვთხოვ რუსეთის სახელმწიფოს ყველა მოქალაქეს დაემორჩილოს დროებითს მთავრობას, რომელნიც არჩეულია სახელმწიფოს სათათბიროს მიერ და აღჭურვილია სრული ხელმწიფობით, ვიდრე სულ მოკლე დროში არ იქნება მოწვეული საყოველთაო, პირდაპირის, თანასწორის და ფარულის კენჭისყრით დამფუძნებელი კრება ხალხის სურვილის გამოსათქმელად». [1]

საქმე კი უფრო რთულად იყო. პოლიტიკურ პარტიებს მეტი გავლენა ჰქონდათ ხალხზე. განსაკუთრებით ძლიერი იყო სოციალ-დემოკრატები, რომლებსაც ყველგან თავიანთი სტრუქტურები ჰქონდათ ჩამოყალიბებული საბჭოების სახით. ამ ვითარებამ ქვეყანაში **ორხელისუფლებიანობა** დაამყარა. ერთი მხრივ, რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატებმა შექმნეს **დროებითი მთავრობა** თავადი ლვოვის მეთაურობით, რომელიც მალე **ალექსანდრე კერენსკმა** შეცვალა.. მეორე მხრივ კი, **კარლო (ნიკოლოზ) ჩხეიძის** თავმჯდომარეობით შეიქმნა რევოლუციური ხელისუფლება **მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა საბჭოების** სახით.

დროებითმა მთავრობამ 1917 წ. მარტში ამიერკავკასიის სამართავად შექმნა «კავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი» (ОЗАКОМ - Особый Закавказский комитет) ,

რომლის თავმჯდომარედ დაინიშნა რუსი ვ. ხარლამოვი, ქართველი კ. აბაშიძე სომეხი მ. პაპაჯანოვი და აზერბაიჯანელი მ. ჯაფაროვი. მათ მალე მიემატა ა. ჩხენკელი.

1917 წ. 14 მარტს პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭომ რუსეთში მცხოვრები ხალხებისადმი გამოაქვეყნა მიმართვა, სადაც ნათქვამია: «რუსეთის ხალხი თავის სურვილს საბოლოოდ დამფუძნებელ კრებაზე გამოთქვამს, რომელიც მოწვეული იქნება ახლო მომავალში თანასწორი, პირდაპირი, საყოველთაო და ფარული კენჭისყრით და ამიტომ, ეხლავე შეიძლება ითქვას, რომ რუსეთში დამყარდება დემოკრატიული რესპუბლიკა» [2].

ამდენად, დროებითი მთავრობა და მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოები რუსეთს ერთიან სახელმწიფოდ განიხილავენ.

ევროპაში კი სხვაგვარად ფიქრობენ. 1917 წ. 24 ივნისის გაზეთ «სახალხო ფურცლებში» კ. გამსახურდია მიმოიხილავს ევროპაში საქართველოზე I მსოფლიო ომის დროს დაბეჭდილ მასალებს. 1915 წ. გერმანიაში გამოიცა ბორკის ნაშრომი: «ქართველი ხალხი». ამ წიგნიდან კ. გამსახურდიას მოაქვს საინტერესო ციტატა: «რა დააშავა პატარა ქრისტიანულმა საქართველომ, რომ მისი მიწა-წყალი ველურ ყაზახ-რუსთა სარბევ ასპარეზად გამხდარა? სამართლიანობა და ინტერნაციონალური უფლება ქართველ ერს ალბათ უსათუოდ მიანიჭებს მომავალ საზავო კონფერენციაზე თავისუფალ არსებობის უფლებას. მე პირადად, როგორც საქართველოს წარსული პოლიტიკურისა და სიციალური წყობის მცოდნე ვიტყვი: საუკეთესოდ გადაჭრა ქართული საკითხისა ამგვარად შეიძლება: საქართველოს მომავალი სახელმწიფო უნდა მოეწყოს ბუფერ სახელმწიფოდ ოსმალეთსა და რუსეთს შორის».

გერმანიაში ასე ფიქრობენ. იქნებ ასე სურთ, რადგანაც ეს უფრო შეეფერება მათ იტერესებს, რომლებიც რუსეთთან არიან ომში ჩართულნი. გერმანიის პოლიტიკურ წრებთან ახლო კავშირი აქვთ ქართველ პოლიტიკოსთა ერთ ნაწილთან, რომლებიც მომავალში ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიად ჩამოყალიბდებიან. ისინი ერთად-ერთინი არიან, რომლებიც საქართველოს დამოუკიდებლობას მოითხოვენ. ისინი პირველი მსოფლიო ომის წინ ჟენევაში «საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტს» ქმინან და აქტიურად თანამშრომლობენ გერმანიისა და ოსმალეთის ხელისუფლებებთან. ამ თანამშრომლობისა და მოლაპარაკების შედეგად მომზადდა და ხელი მოაწერა თურქეთის მხარემ დოკუმენტს, რომლის პირველი წინადადება იყო: «ოსმალეთის მთავრობა სცნობს საქართველოს დამოუკიდებლობას და მის უექველ უფლებას თავის ნამდვილ ისტორიულ ტერიტორიაზე». [3]. ეს დოკუმენტი ქართველებმა მიიღეს 1915 წ. 16 სექტემბერს. [4]. თუ როგორ შეასრულა ეს დაპირება თურქეთმა, სხვა საკითხია და სხვაგან სასაუბრო. აქ კი ისაა მთავარი, რომ ქართველების ერთი ნაწილი იმთავითვე ზრუნავდა დამოუკიდებლობის მოპოვებაზე.

ახლა კი ვითარება შეცვლილია. რუსეთში რევოლუცია მომხდარია. ეროვნულ-დემოკრატიები პირველ დამფუძნებელ ყრილობაზევე იღებენ პროგრამას, რომლის I მუხლში წერენ: «უნდა დამყარდეს საქართველოს პოლიტიკური ავტონომია დემოკრატიულ-რესპუბლიკურ საფუძველზე აგებული». ხოლო IV მუხლში კი აღნიშნულია: «საქართველოს ავტონომიურ კანონმდებლობას და მმართველობას ექვემდებარება საქართველოს საზღვრებში

ცხოვრების ყოველი საგანი, გარდა: ა). ომის და ზავის საკითხისა, ბ). საგარეო პოლიტიკისა და გ). რუსეთის სახელმწიფოსთან საერთო ბიუჯეტისა, რაც რუსეთთან საერთო კანონმდებლობის კომპენტენციას შეადგენს». [5]. მოცემული მომენტის გაანალიზებამ ასეთ გადაწყვეტამდე მიიყვანა ისინი.

როგორია სხვა პარტიების პოზიცია?

სოციალისტურ-ფედერალისტური პარტია დემოკრატიულ რუსეთში საქართველოს პოლიტიკურ ავტონომიას მოითხოვდა და მის ხორცშესახემლად იღწვოდა. [6]. სოციალ-დემოკრატიული პარტია სრულიად რუსეთის პოლიტიკური ორგანიზაციაა და ორ ბანაკადაა გაყოფილი – ბოლშევიკებად და მენშევიკებად. სოციალ-დემოკრატების რადიკალური ნაწილი, ბოლშევიკების სახით კი ერთა თვითგამორკვევას ქადაგებს, მაგრამ ისინი რეალურად მის განხორციელებას არც ფიქრობდნენ და არც უღონიათ რამე. მათ შორის ქართველ ბოლშევიკებსაც.

სოციალ-დემოკრატების მეორე ჯგუფი, რომლებიც მენშევიკებად იწოდებოდნენ, მაგრამ საქართველოში ძალზე მრავალრიცხოვანნი იყვნენ, რუსეთში დემოკრატიის აღორძინებაზე ოცნებობდნენ და საქართველოსათვის ხან საოლქო ავტონომია და ხან კი კულტურულ-ნაციონალური ავტონომია მიაჩნდათ საკმარისი. თუმცა, მოგვიანებით ქართველი ერის სრულ სახელმწიფოებრიობას დაუჭირეს მხარი. [7]. ქართველი სოციალ-დემოკრატები (მენშევიკები) მხარს უჭერდნენ დროებით მთავრობას და მოელოდნენ დამფუძნებელ კრებას.

1917 წ. 5. მარტს თბილისში შედგა ქართველ თავად-აზნაურთა საგანგებო კრება, რომელმაც მიმართვა გაუგზავნა დროებით მთავრობას, შეახსენა 1883 წ. დადებული გეორგიევსკის ტრაქტატი და გამოთქვა იმედი «რომ რუსეთის დიდებული კაცნი, რომელთაც სიცოცხლის გაწირვითა და სისხლის ღვრით მოუპოვეს თავიანთს სამშობლოს თავისუფლება, შეასრულებენ სამართლიანობის ვალს საქართველოს წინაშე და რუსეთის მოწყობის დროს ხელს შეუწყობენ ქართველ ხალხს, რათა განახორციელოს თავისი ნაციონალური უფლებანი პოლიტიკური ავტონომიის საფუძველზე». [8].

მაშ ასე: ყველა პოლიტიკური ძალა საქართველოს ერთიანი რუსეთის ფარგლებში ხედავს, ზოგი კულტურული და ზოგი პოლიტიკური ავტონომიის სახით. დამოუკიდებლობის საკითხი არ დგას, რადგანაც შესაფრისი ვითარება ჯერ არ დამდგარა. საქართველოში ყველა ელოდება რუსეთის დამფუძნებელ კრებას, რომ რუსეთის დემოკრატიულ სახელმწიფოში ავტონომია მიიღონ.

რუსეთის დროებითი მთავრობა კი აგრძელებდა დაწყებულ ომს საბოლოო გამარჯვებამდე. მას არ განუხორციელებია მიწის რეფორმა და არ დაუწესებია 8 საათიანი სამუშაო დღე, რასაც ხალხი თავისი საბჭოების მეშვეობით მოითხოვდა. დროებითი მთავრობა ამბობდა, რომ ამ საკითხებს გადაწყვეტდა მხოლოდ დამფუძნებელი კრება და მის მიერ დადგენილი ახალი ხელისუფლება. დაველოდოთ დამფუძნებელ კრებას, მანამდე კი ომი გამარჯვებით დავასრულოთ. – ასეთი იყო დროებითი მთავრობის პოზიცია.

ამდენად, საქართველოში დამფუძნებელი კრების მოწვევას ელოდებიან და რუსეთის დემოკრატიული გარდაქმნისა სჯერათ. ქართველი ინტელიგენციის მოსაზრებით ერთიან რუსეთის რესპუბლიკაში საქართველო სხვებთან ერთად ფედერალურ ერთეულად უნდა შევიდეს და სწორედ ამ საკითხში უნდა შეთანხმდეს ყველა. ამ შეთანხმებული აზრით უნდა წარდგინდეს დამფუძნებელ კრებაზე. საქართველოს დამოუკიდებლობაზე არავინ საუბრობს. არავინ, რადგან არც არავინ ფიქრობს ასე. იგი სამომავლო ამოცანაა. დღეს კი დემოკრატიული რუსეთის ფედერაციულ მოწყობას უნდა მივაღწიოთ. მაგალითისთვის შეიძლება დავასახელოთ მომავალში თბილისში უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამმართველის შ. ნუცუბიძის საჯარო ლექცია. «**ლექტორმა აღნიშნა სამი მომენტი რუსეთის რევოლუციის მსვლელობაში და განაცხადა, – უთითებს გაზეთი «სახალხო ფურცელი» – რომ პირველი პირველი ლოზუნგი, რევოლუციის ხანაში აღიარებული, კონსტიტუციური მონარქია იყო. შემდეგ იგი დემოკრატიულ რესპუბლიკით შეიცვალა და ბოლოს დემოკრატიულ-ფედერატიული რესპუბლიკა იქნა აღიარებული სადღეისო ლოზუნგად. ასე რომ თვით რევოლუციას მივყავართ ეროვნული საკითხის წესიერათ გადაწყვეტისკენ და ეს გადაწყვეტა ფედერატიული რესპუბლიკის სახით მოხდება, ვინაიდან ერთა ნორმალურ განვითარებას, მხოლოდ იგი უზრუნველყოფს».** [9].

ივანე ჯავახიშვილიც საქართველოს ავტონომიის მომხრეა. ზურაბ ავალიშვილის ცნობით 1917 წლის მარტში პეტერბურგში ქართველი ინტელიგენტების შეკრებაზე ივანე ჯავახიშვილმა საქართველოს ავტონომიას დაუჭირა მხარი. [10]. მასც ასე სჯერა. ივანე ჯავახიშვილი ერთ კერძო წერილში, რომელიც 1917 წ. მარტშია დაწერილი, ამბობს: «მოგილოცავთ ნიკოლოზის დამხობას. ნეტავი საბოლოო და მკვიდრი გამოდგეს ეს რევოლუცია... ეხლა ისეთი დრო დადგა, რომ ან უნდა განახლდეს და აღდგეს ჩვენი ავტონომია, ან არადა ახლო მომავალში მაგის იმედს თავი უნდა დავანებოთ.» [11].

1917 წ. 27 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილი წერილს უგზავნის გიორგი ახვლედიანს, სადაც წერს «როგორც რუს მიტრაპოლიტის დანიშვნით ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის დაჩრდილვა ჰსურთ, ისევე რუსულ უნივერსიტეტის ტფილისში დაარსება ჩვენ ავტონომიის განხორციელების საწინამდდელო იარაღია». [12]. ე.ი. ივანე ჯავახიშვილს აზრი არ შეუცვლია და 1917 წ. ოქტომბერშიც ავტონომიას ელოდება. მისი აზრი სრულ ჰარმონიაშია ქართველ პოლიტიკოსთა პოზიციასთან.

მაგრამ საქართველო იქნება დამოუკიდებელი, კულტურული თუ პოლიტიკური ავტონომიის მქონე, თუ რუსეთის სახელმწიფოში კვლავაც მხოლოდ გეოგრაფიული სივრცე, უნივერსიტეტი ყველა შემთხვევაში საჭიროა. ახლა შესაფერისი დროა მის დასაარსებლად და იგი უნდა აღსრულდეს. ივანე ჯავახიშვილმა იმპერატორის გადადგომამდე აუღოს გუმანი ვითარებას და პეტერბურგში, ლახტინის ქუჩაზე მდებარე თავის ბინაზე 1917 წ. 1 მარტს შეკრიბა თანამოაზრეთა ჯგუფი. თანამზრახველები ერთსულოვანნი არიან: თბილისში უნდა დაარსდეს ქართული უნივერსიტეტი. იმავე წლის 12 მაისს ივანე ჯავახიშვილი თბილისში კრებს ქართველ საზოგადო მოღვაწეებს და კითხულობს მოხსენებას, რომელსაც 17 მაისს

ქუთაისში მოღვაწე მამულიშვილებს აცნობს. მალე უნივერსიტეტის დაფუძნებისათვის ხელშემწყობი საზოგადოებაც დაფუძნდება და მძიმედ, მაგრამ მაინც აქტიურად გაიშლება საუნივერსიტეტო მოძრაობა. მაგრამ 1917 წლის 25 ოქტომბერს რუსეთის დედაქალაქში ისეთი ამბები დატრიალდება, რომელიც კარგა ხნით შეცვლის მთელ მსოფლიოში განვითარების დინამიკას.

რუსეთში ხელისუფლება ხელში აიღო ბოლშევიკებმა და რუსეთის იმპერიაში ყველაფერი თავდაყირა დადგა.

ახლა საქართველოშიც დაფაცურდნენ. – ოქტომბრის გარატრიალებამ ყველაფერი შეცვალა. ლენინმა ქვეყანა სოციალისტური ექსპერიმენტის ასპარეზად აქცია. მის იდეებს და მოქმედების ფორმებს რუსეთში არცერთი პილიტიკური ძალა არ იზიარებდა. ქვეყანა პოლიტიკური, სამხედრო, ფინანსური და ეკონომიკური კრახის წინაშე იდგა. ასეთ ვითარებაში 1917 წ. 11 ნოემბერს თბილისში გაიმართა ამიერკავკასიის პოლიტიკურ პარტიათა გაერთიანებული თათბირი. ბოლშევიკებმა ფ. მახარაძის თაოსნობით მოითხოვეს ლენინის მთავრობისადმი დამორჩილება [13],

რაც დანარჩენმა პოლიტიკურმა ძალებმა უარყვეს. საერთო აზრი ნოე ჟორდანიამ ასე გამოხატა: «ჩვენსა და რუსეთს შორის შემაკავშირებელი ძაფი გაწყდა და ჩვენს წინაშე დადგა დილემა: ან საკუთარ ნიადაგზე უნდა დავდგეთ და... თავს ვუშველოთ, ან უნდა დავილუპოთ. აი, ეს აუცილებლობა გვიკარნახებს მოვარწყოთ ადგილობრივი მთავრობა». [14]. 15 ნოემბერს შეიქმნა სამხარეო ხელისუფლება – ამიერკავკასიის კომისარიატი, რომელმაც შეცვალა OZAKOM-ი. ამიერკავკასიის კომისარიატის თავმჯდომარე გახდა ევგენი გეგეჭკორი.

ეს იყო რუსეთში აგორებული ანარქიის ტალღისაგან ამიერკავკასიის რეგიონის გადარჩენის მცდელობა. «მართალია, ამიერკავკასია პეტროგრადის ბოლშევიკურ ხელისუფლებას გაემიჯნა, მაგრამ, გარკვეული პოლიტიკური მისაზრებიდან გამომდინარე, კერძოდ, კანონიერი ხელისუფლების უახლოეს მომავალში აღდგენის მოტივით, კვლავაც რუსეთის შემადგენლობაში რჩებოდა» [15].

დადგა 1918 წ. 5 იანვარი. შეიკრიბა დამფუძნებელი კრება, რომელმაც ბოლშევიკების საწინააღმდეგო რეზოლუციები მიიღო და ბოლშევიკებმა ის 6 იანვარს გარეკეს. [16]. დამფუძნებელი კრების გარეკვამ დემოკრატიული რუსეთის შექმნის იდეა დაამსხვრია. 1918 წ. 21 იანვარს ეროვნული საბჭოს სხდომაზე ნ. ჟორდანიამ ამბობდა: «აქ, ჩვენშიაც შინაური ანარქია თანდათან ვრცელდება. თუ რაიმე წყობილება არ ჩამოვაყალიბებთ და ზომები არ მივირთვით ანარქიასთან შესაბრძოლებლად, იგი ჩვენ გაგვანადგურებს. ჩვენს ირგვლივ ბადეები იქსელდება – ჩვენს იღბალს რომ ველოდოთ და იმედი ვიქონიოთ ვინმე გამოგვიყვანს ამ მდგომარეობიდან, ამოი იქნება». [17]. 1918 წ. 22 იანვარს თბილისში შეიკრიბა რუსეთის დამფუძნებელი კრების ამიერკავკასიის 25 დელეგატი და ამიერკავკასიის კომისარიატის სრული შემადგენლობა. სხდომა გახსნა ე. გეგეჭკორმა და მოხსენება გააკეთა ნ. ჟორდანიამ. მან განაცხადა: «ვფიქრობდით, რომ დამფუძნებელი კრება მოგვცემდა მტკიცე პოლიტიკურ წყობილებას და გადასჭრიდა ყველა ძირითად საკითხებს, მაგრამ, რამდენადაც ეს ცენტრი

ადარ შეიქმნა, ჩვენ იძულებული შევიქენით საკუთარი ძალღონით უზრუნველგვეყო ჩვენი არსებობა». [18]. ასეთ ერთიან ორგანოდ ამიერკავკასიის სემის დაფუძნება იქნა დადგენილი, რომელიც იქნებოდა ამიერკავკასიის საკანონმდებლო ორგანო. 21 იანვრის სხდომაზე ე. გეგეჭკორი ამბობდა: «ამიერკავკასიის სეიმი მიგვაჩნია ერთ იმ საშუალებად, რომელმაც შეიძლება ძალა მოგვეცეს, თავიდან ავიციულოთ საშინელი განსაცდელი... ჩვენი მდგომარეობა სხვა ერთა შორის ისეთია, რომ ჩვენი მოქმედების ნაციონალურ კალაპოტში ჩაგდებით, მთლად დავამსხვრევთ ჩვენს ეროვნულ იდეალებს... სწორედ ამაში იქნება დიდი უბედურება ყველასათვის და განსაკუთრებით კი ჩვენის ერისათვის. ამისთანა დროს განზე დგომა არ არის სწორი პოლიტიკა, საჭიროა ყველა ძალების შემოკრება, რომ შეიქმნას ძლიერი მთავრობა, უამისოდ, ვიმეორებ საშინელი საფრთხე მოგველის». [19].

1918 წ. 10 (23) თებერვალს მოწვეულიქნა ამიერკავკასიის სეიმის სხდომა და მის თავმჯდომარედ კარლო (ნიკოლოზ) ჩხეიძე აირჩიეს. აღმასრულებელ ხელისუფლებად ანუ მთავრობად კი კვლავ ამიერკავკასიის კომისარიატი დარჩა ე. გეგეჭკორის მეთაურობით.

ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულის შექმნა აუცილებლობით იყო ნაკარნახევი. მიუხედავად უამრავი სირთულეებისა და აქ მცხოვრებთა განსხვავებული ინტერესებისა, ეს ნაბიჯი გარდაუვლად საჭირო იყო. ასეცაა იგი ქართულ ისტორიოგრაფიაში შეფასებული: «ამიერკავკასიას და მათ შორის საქართველოს გარეშე ძალების მხრიდან დიდი საფრთხე ემუქრებოდა, რომელიც თითოეული ერის არა მარტო ეროვნული იდეალების, არამედ მისი ყოფნა-არყოფნის საკითხს კითხვითი ნიშნის ქვეშ აყენებდა. ამიტომ, ამიერკავკასიის ერთიანი ძლიერი სახელმწიფოს შექმნის იდეა ამ ფაქტორის გათვალისწინებიდან გამომდინარეობდა». [20]. ასეთ ვითარებაში, როცა ჯერ კიდევ არაა ამიერკავკასიის კომისარიატი დაფუძნებული, თბილისში 26 იანვარს (8 თებერვალს) საზეიმოდ იხსნება უნივერსიტეტი. ამ დიდი საქმის პერიპეტებზე აქ სიტყვას არ გავაგრძელებ, მხოლოდ ამ აქტის მნიშვნელობის სადემონსტრაციოდ ერთ ამონარიდს მოვიყვან:

«დღეს საქართველოს სატახტო ქალაქ თბილისში იხსნება ქართული უნივერსიტეტი. ... დღეს შენდება ჩვენში მეცნიერების ტაძარი, დღეს იბადება ქართული მეცნიერება: დღეს ინათლება ეროვნული თვითგამორკვევა. სიმდიდრით სავსე ჩვენი სამშობლო მამულიშვილების თვალებს დღეს ეჩვენება. აწი ვიხილავთ იმას, რასაც **მივჩერებოდით და ვერ ვხედავდით, რასაც ვუცქერდით და ვერ ვამჩნევდით**. განათლების სხივი აწი დახედავს ჩვენს მამულს და დაანახვებს ქვეყანას მის სიდიადეს, მის ღირსებას». [21].

ეს მოხდა 1918 წლის 26 იანვარს.

მანამდე კი საქართველოში კი, რომელიც ჯერ კიდევ მხოლოდ გეოგრაფიული სივრცეა, პოლიტიკური ვითარება მეტად მძიმეა. მას საერთაშორისო ვითარება განაპირობებს. მეომარი მხარეები ბრესტ-ლიტოვსკში იკრიბებიან და საზავო მოლაპარაკებას იწყებენ. იქ საქართველოს ინტერესებს არავინ იცავს. ერთ-ერთი სხდომის დროს, კერძოდ, 1918 წ. 18 იანვარს გერმანიის წარმომადგენელმა რუსეთის წარმომადგენელს ლ. ტროცკის ჰკითხა კავკასიის არმია არის თუ არა პეტროგრადის მთავრობის განკარგულებაში? ტროცკის პასუხი

იყო დადებითი. სინამდვილეში რუსეთის ჯარის ნაწილები უკვე კარგა ხნის წინ იყო გასული ამიერკავკასიიდან. მოლაპარაკებაზე ამიერკავკასიის წარმომადგენლები არ იყვნენ და ბოლშევიკები ყოფილი რუსეთის იმპერიის მემკვიდრეებად აცხადებდნენ თავს, პასუხიც მათგან იქნა მოთხოვნილი. ამიერკავკასიის ხელმძღვანელები, რომლებიც ქართველებისაგან შედგებოდა კვლავ დემოკრატიულ რუსეთის იდეას ეპოტინებოდნენ. ოსმალებმა ამიერკავკასიის კომისარიატი მიიწვია საზავო მოლაპარაკებაზე, რაზეც უარი განაცხადა ამიერკავკასიის ხელისუფლების მესვეურებმა. 1918 წ. 6 იანვარს გაზეთი «ერთობა» აქვეყნებს წერილს, სადაც დიდი რწმენითა და შემართებით ნათქვამია:

«დღეს ოსმალეთი ახალს წინადადებას იძლევა დაიწყონ მოლაპარაკება საბოლოო «ლოიალურ» ზავის ჩამოსაგდებათ, რისთვისაც ის თხოულობს მიიღონ მისი დელეგაცია ქ. თფილისში, როგორც «დამოუკიდებელი კავკასიის სატახტო ქალაქში».

ნათქვამია, დიპლომატებს ენა იმისთვისა აქვთ, რომ თავისი აზრი დამალონ. ჩვენ არ ვიცით, რა მოსაზრებით თვლის ოსმალეთი კავკასიას დამოუკიდებელ სახელმწიფოდ და თფილისს ამ სახელმწიფოს სატახტო ქალაქად. პირველ საზავო მოლაპარაკების დროს ამის საბუთი ოსმალეთისთვის ჩვენ არ მიგვიცია.

რაც უნდა იყოს, ერთი ცხადია: ამიერკავკასიის დემოკრატია არა თუ არ სურს რუსეთის დემოკრატია ჩამოშორება, პირიქით, ჩვენი დემოკრატია მოუთმენლად მოელის იმ მომენტს, როცა რუსეთის დარღვეულ რევოლუციონურ ფრონტს კვლავ აღადგენს და ძმათა შორის სამარცხვინო ომის ალაგს შინაურ ცხოვრების გარდაქმნის საკითხი დაიჭერს...

ჩვენი ძალა ერთობაშია. ასეთი ერთობის გამომხატველი იქნება დამფუძნებელი კრება. ამიტომ ზავის საკითხი უნდა გადაეცეს დამფუძნებელ კრებას და საზავო მოლაპარაკება უნდა აწარმოვოს ამ კრების მიერ არჩეულმა რწმუნებულებმა.

ამიერკავკასიის კომიტეტი კი ამ მოვალეობის ასრულებას იკისრებს მაშინ, როცა ის საამისო დირექტივებს მიიღებს». [22].

დირექტივებს თბილისში დამფუძნებელი კრებისაგან უიმედოდ ელოდნენ, მას კი სამწუხაროდ უკვე ლენინი და მისი თანამზრახველნი იძლეოდნენ. ლენინის მითითებით ზავს ხელი მოეწერა და ყარსი, არდაგანი და ართვინის პრივიციები ბათუმითურთ ფაქტობრივად თურქეთს მიეკუთვნა. ეს მოხდა 1918 წლის 3 მარტს, მაგრამ წინა დღეს 2 მარტს საზავო პირობები უკვე ცნობილი იყო და ამიერკავკასიის წარმომადგენლებმა ე. გეგეჭკორმა და კ. ჩხეიძემ პროტესტი განაცხადეს და იგი ყველა სახელმწიფოს შეატყობინეს. მაგრამ გვიან იყო თითზე კბენანი.

რუსეთმა თურქეთს დაუთმო ის ტერიტორიები, რომელიც მას არ ეკუთვნოდა. მან აგრეთვე იკისრა ამ მხარეებიდან საკუთარი ჯარების გაყვანა. იმ ჯარებისა, რომლებიც იქ არ იმყოფებოდნენ და დიდი ხნით ადრე იყო უკვე გასული. სინამდვილეში კი იქ იდგა სომხებისა და ქართველების არარეგულარული სამხედრო ნაწილები.

10 მარტს ოსმალების ჯარები ვეხიბ ფაშას სარდლობით ამიერკავკასიისკენ დაიძრა. ოსმალეთს მხარს უმაგრებდა საერთაშორისო სამართალი, იგი ზავის პირობების შესრულებას

მოითხოვდა. ამიერკავკასიის კომისარიატი უცნაურ მდგომარეობაში იმყოფებოდა. იგი თავს რუსეთისაგან გამოყოფილად არ აცხადებდა და თანაც ბოლშევიკების მიერ დადებულ ბრესტიტოვსკის ზავსაც არ ცნობდა.

თანდათან მდგომარეობა ისე რთულდება, რომ უკვე 10 აპრილს ამიერკავკასიის კომისარიატის დელეგაციის მეთაური ა. ჩხენკელი აღიარებს ბრესტიტოვსკის ზავის პირობებს. ოსმალებს ახლა ეს არ აკმაყოფილებთ. ისინი 7 აპრილს იკავებენ ოზურგეთს, 15 აპრილს ბათუმს და მთელი მესხეთი თითქმის ბორჯომამდე მათ ხელში გადადის.

ამ მეტად კრიტიკულ ვითარებიდან გამოსავლად ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადების აზრი ჩნდება. ნ. ჟორდანიას და მაშინდელ ლიდერებს, ერთი მხრივ, დემოკრატიული რუსეთის მხარდამხარ სურდათ ყოფნა და, მეორე მხრივ, კი გრძნობდნენ დამოუკიდებლობის გამოცხადების აუცილებლობას, მაგრამ ეშინოდათ ამით მდგომარეობა უფრო არ გართულებულიყო. «გვეშინიან, თათრებისა და ოსმალების ბრჭყალებში არ ჩეცვივდეთ. ჩვენ ვამბობთ – სანამ ისეთ მოკავშირეს არ დავინახავთ, რომელიც მართლაც და გულწრფელად დაიცავდეს ამიერკავკასიის დამოუკიდებლობას, ჩვენ ისე ამ ნაბიჯს ვერ გადავდგამთ» - ამბობდა ნოე ჟორდანიას 1818 წ. 19 თებერვალს საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომაზე. [23].

ნ. ჟორდანიას ქვეყნის მფარველს ეძებდა, იგი ფრთხილობდა, საქართველო დამოუკიდებლობის გამოცხადების მერე საერთაშორისო იზოლაციაში არ აღმოჩენილიყო. (შოთა, გვ. 66) მაგრამ დროც რომ არ ითმენდა? ისტორიკოს შოთა ვადაჭკორიას დასკვნით ნ. ჟორდანიას «გამოსავალს მხოლოდ ამიერკავკასიის ერების შეკავშირებაში და ერთ პოლიტიკურ პლატფორმაზე დგომაში ხედავდა... იგი პრობლემის გადაწყვეტისას საერთაშორისო გარანტიებს მოითხოვდა». [24]. მაგრამ სად იყო ეს გარანტიები? ვინ იყო ამის მომნიჭებელი? ჩვენს პოლიტიკურ ლიდერებს მაშინ ბეწვის ხიდზე გასვლა უწევდათ და ბევრჯერ წარმატებითაც ახერხებდნენ ამას, მაგრამ ახლა მეტად კრიტიკული ვითარება იყო დამდგარი.

ახლა უკვე სხვა გზა არ იყო 1918 წ. 9 (22) აპრილს ამიერკავკასიის სეიმმა ამიერკავკასიის დამოუკიდებელი დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის შექმნა გამოაცხადა. ახალშექმნილი სახელმწიფოს მთავრობის თავმჯდომარე გახდა ა. ჩხენკელი, რომელიც 23 აპრილს ვეხიბ ფაშას სთხოვს შეწყდეს სამხედრო მოქმედება და დაიწყოს მოლაპარაკება. პასუხი მოდის 3 მაისს. ვეხიბ ფაშა აცნობებს ა. ჩხენკელს, რომ ოსმალები გავლენ ოზურგეთიდან მაგრამ და დგებიან არა ბრესტიტოვსკის ზავით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე, არამედ უფრო ადრინდელ, 1877 წლის საზღვარზეო. ე.ი. ახლა თავად თურქებმაც ეცოტავებთ ბრესტიტოვსკის საზავო პირობები.

ასეთ ვითარებაში ინიშნება მოლაპარაკება ქ. ბათუმში, რომელიც უკვე ოსმალების ხელშია. ქართველები მოსალაპარაკებლად ბათუმში სტუმრის სტატუსით ჩადიან. ამის შესახებ მახვილგონივრულად შენიშნავს ისტორიკოსი და ამ პროცესების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე ზურაბ ავალიშვილი: «ერთი თვეც არ გასულა იმ დღეებიდან, რაც სეიმში მხურვალე სიტყვები წარმოითქმებოდა: ბათუმი ან სიკვდილი! უბათუმოდ ჩვენი სიცოცხლე არ ღირს! –

და, აი, დამოუკიდებელი ამიერკავკასიის დელეგატებიც აღმოჩნდნენ ბათუმში, მაგრამ არა როგორც საკუთარ სახლში, არამედ თურქების სტუმრად (1918 წ. 6 მაისი). ... აშკარა იყო, რომ სომხები ქართველებზე მეტად გულდამიმეხებული ჩამოვიდნენ ბათუმში. (ყარსი უკვე თურქების ხელში იყო. დ.ს.) სხვა მდგომარეობაში იყვნენ აზერბაიჯანელები. ისინი თურქებს უკვე როგორც თვისტომთ ისე უყურებდნენ, რომელთაც შეეძლოთ მრავალმხრივ დახმარებოდნენ მათ... ამ ესოდენ განსხვავებული მოტივების, შეფასებების, შიშის, მისწრაფებების საფუძველზე უნდა შემუშავებულიყო ამიერკავკასიის საერთო პოლიტიკა!» [25].

რანაირი ძნელი გასათვალისწინებელი იქნებოდა ასეთ ვითარებაში საერთო კავკასიური პოლიტიკა ადვილი წარმოსადგენია. არადა, ამიერკავკასიის ხალხების საერთო პლატფორმა მართლაც შეძლებდა პრობლემის მოგვარებას, მაგრამ შესაძლებელი იყო კი? სამწუხაროდ ეს რეალური გამოსავალი, დღესაც იგივე უიმედო ვითარებაშია და ყველა დამსახურემისამებრ იმკის მისგან გამომდინარე შედეგებს.

ბათუმში ჩასული ჩვენი დელეგაცია მძიმე ვითარებაში იმყოფება. ახლა უკვე ჩვენს წარმომადგენლებს უწევთ ბრესტლიტოვსკის ზავის დაცვაზე ზრუნვა, როგორმე ოსმალებმა მეტი არ წაიღონო. ოსმალების მიერ მთელი ტერიტორიის დაკავების საშიშროება ყველგან იგეძნობა.

25 მაისს ქ. თბილისის თვითმმართველობა ხალხს უცხადებს, რომ საფრთხე რეალურია და ქალაქის დაცვა აუცილებელიაო. 26 მაისს კი ოსმალეთი ულტიმატუმს აყენებს: 72 საათის განმავლობაში მოხდეს ახალი საზღვრის დადგენა, ოსმალებს წინააღმდეგობა არ უნდა გაუწიონ და მათ ჯარებს თავისუფალი გადაყვანის საშუალება მისცენ.

ასეთ კრიტიკულ ვითარებაში 26 მაისს დღის 3 საათზე იკრიბება ამიერკავკასიის სეიმი და თავს დაშლილად აცხადებს.

იმავე დღეს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა საჯაროდ ცხადდება.

ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის დაგვიანებით გამოცხადებამ ვერ გვიშველა, რადგანაც ვერ მოხერხდა საერთო პოლიტიკის შემუშავება. აი რა ჩაიწერა ამიერკავკასიის სეიმის მიერ მიღებულ რეზოლუციაში: «ვინაიდან ომისა და ზავის საკითხში აღმოჩნდნენ ძირითადი განსხვავებანი იმ ხალხებს შორის, რომელთაც შექმნეს ამიერკავკასიის დამოუკიდებელი რესპუბლიკა, და ამიტომ შეუძლებელი გახდა გამოსვლა ერთი ავტორიტეტული ხელისუფლებისა, რომელიც ამიერკავკასიის სახელით ილაპარაკებდა, სეიმი ადასტურებს ამიერკავკასიის დაშლის ფაქტს და თავის რწმუნებულებაზე უარს ამბობს». [26]. მაინც რატომ მოხდა ასე? ამაზე ამომწურავ პასუხს იმავე სეიმზე სიტყვით გამომსვლელი ირაკლი წერეთელი იძლევა: «ამერკავკასიის დიდი ნაწილი უკვე ჩამოშორდა ამიერკავკასიის რესპუბლიკას; ერთი იარაღის ძალით, აქ მხედველობაში მყავს სომეხთა ერი, რომელმაც გააკეთა ყველაფერი, რაც შეეძლო, მაგრამ იძულებული გახდა თავისი ტერიტორიის საგრძნობი ნაწილი მტრისთვის მიეცა... მეორე ნაწილიც (აზერბაიჯანი, დ.ს.) ფაქტიურად წავიდა, რადგან მან გადაიმწყვეთ წუთში მხარი არ დაგვიჭირა და მისი წარმომადგენლები კი გვერდში ამოუდგნენ მოწინააღმდეგე მხარეს აშკარად თუ ოფიციალურად». [27].

ახლა კი მარტოდ უნდა გვეცადა ბედი. საქართველო მარტო უნდა გამკლავებოდა იმ სიძნელეებს, რომელიც ამიერკავკასიის ერთიანობის ფარგლებში ვერ მოხერხდა. და იმავე დღეს, 1918 წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა გამოცხადდა.

დამოუკიდებლობის გამოცხადება ერთ-ერთ მორიგ ნაბიჯად მოიაზრებოდა. აი, როგორ გვიხასიათებს ამ მოვლენების მონაწილე ზურაბ ავალიშვილი: «უნდა გვესარგებლა გარემოებით და მოგვენახა გზა და ფორმა იმის აღსასრულებლად, რაც ჯერ კიდევ ჰაერში ტრიალებდა განსახორციელებლად, მომწიფებულ, მაგრამ ჯერ კიდევ განუხორციელებელ სინამდვილედ. ორიოდე სიტყვით: უკანასკნელ მომენტამდე უნდა ვმდგარიყავით ამიერკავკასიის (როგორც იყო შემთხვევით შექმნილი) პოზიციებზე; შემდეგ გადავსულიყავით ეროვნულ პოზიციაზე და გვემოქმედა ცალ-ცალკე, რაც მთავარია, ყოველი ჩვენი ხალხის სახელმწიფოებრივ შეგნებაში განგვემტკიცებინა დამოუკიდებლობის აზრი; შემდეგ კი, პირველი შესაძლებლობისთანავე, გამყარებულ ნიადაგზე შეგვექმნა ამიერკავკასიის ან კავკასიის პოლიტიკური მთლიანობა». [28].

ამდენად, ფიქრი კვლავ კავკასიის მთლიანობაზეა. ეგ აზრი პრაგმატული მოსაზრებებითაა ნასაზრდოები, რომ თავისუფლების სანუკვარი მიზანიც მიღწევადი გახდეს და მშვიდობაც დამყარდეს ჩვენში და ჩვენს გარშემო. მაგრამ სამწუხაროდ, არამარტო იმჟამად განუხორციელებელი აღმოჩნდა, არამედ შემდეგშიც კი მიულწეველი და კვლავ ოცნებად დარჩენილი.

აი, ის პოლიტიკური ვითარება, როცა უკვე დაარსებულ უნივერსიტეტს მოუწია მუშაობამ და ის ფონი, როცა დაიწერა ზემოთნახსენები და ქვემოთ სრულად მოყვანილი ივანე ჯავახიშვილის მოხსენება.

ეს დოკუმენტი, რომელიც საბჭოთა პერიოდში შეკვეცილ-შეკრეჭილად გამოქვეყნდა, ნათლად ამტკიცებს თუ რა გაქანების პიროვნება იყო ივანე ჯავახიშვილი. ამ დოკუმენტის სათაურია: «მოხსენება ტფილისის ქართული უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის მომავალ სამოქმედო გეგმის შესახებ». მართალია აქ უნივერსიტეტის ერთ ფაკულტეტზეა საუბარი, მაგრამ როცა ივანე ჯავახიშვილი ამ სიტყვებს წერდა, მაშინ უნივერსიტეტი სწორედ სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი იყო – სხვა ფაკულტეტი არც არსებობდა. მეორეც, რომ არსებულიყო, საზოგადოებრივ საკითხებს საბუნებისმეტყველო მეცნიერებები ვერ იტვირთებდა და ვერც ივანე ჯავახიშვილი დააკისრებდა მათ ამ ამოცანებს, როლებიც ამ მოხსენებაშია მოცემული.

ივანე ჯავახიშვილი მიუთითებს თავის პირველ მოხსენებაზე, რომელიც უნივერსიტეტის დასაარსებლად გამართულ სხდომაზე იქნა წაკითხული. სხდომა შედგა თბილისში 1917 წ. 12 მაისს და გამეორებულქნა 17 მაისს ქუთაისში. ამ მოხსენების ერქვა: «მოხსენება ქართული უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობის შესახებ». [29]. სხდომას ესწრებოდა ქართველი საზოგადოების რამორჩეული ნაწილი, რომლისთვისაც უნივერსიტეტი და საქართველოს ბედ-იღბალი ცხოვრების მიზანი იყო. აქ მეცნიერი საუბრობდა კავკასიის

ხალხების კულტურის შესწავლის აუცილებლობაზე და მას მომავალში დასაარსებელ უნივერსიტეტს ერთ-ერთ ამოცანად უსახავდა.

კერძოდ, მეცნიერი ამ მოხსენებაში ამბობდა: ივანე ჯავახიშვილი თავის მოხსენებაში უნივერსიტეტის დაარსების საჭიროებაზე საუბრობდა და ამავე დროს პოლიტიკურ ვითარებასაც ითვალისწინებდა. რუსეთის მთელ იმპერიაში და მათ შორის საქართველოშიც დიდი პოლიტიკური დუღილი სუფევდა. არავინ იცოდა მოვლენები როგორ განვითარდებოდა – რუსეთი დემოკრატიული განვითარების გზას დაადგებოდა და დაპყრობილ ერებს თავისუფლების ჟამი დაუდგებოდათ თუ კვლავ ძველი მარწუხები განახლდებოდა, ამდენი სისხლისღვრა ამაოდ ჩაივლიდა და ოცნებებს კვლავ შეეკვეცებოდა ფრთები. ეს უკანასკნელი მოსაზრება რომ ახდენილიყო, მაშინ უნივერსიტეტი და მასში აღზრდილი კადრები ხომ უკეთ გამოადგებოდა ქვეყანას? სამწუხაროდ, მართლაც ასე მოხდა და ივანე ჯავახიშვილის სიბრძნე ერისათვის ამ შემთხვევაშიც შედეგიანი აღმოჩნდა. «რუსეთში რომ პოლიტიკური მდგომარეობა ჩვენთვის ისე უბედურად შემოტრიალდეს, – ამბობდა ივანე ჯავახიშვილი, – რომ ერობის მეტს სხვას ვერას ველირსნეთ, განა ამ უკიდურეს შემთხვევაშიც ჩვენთვის ქართულად განსწავლულნი ეკონომისტები, სტატისტიკოსები და ფინანსისტები საჭირონი არ იქნებიან? ყოველი ქართველი გრძნობს ეხლა, რომ ჩვენი ხსნა დაუცხრომელ შრომაში, კერძო თაოსნობაში და საკუთარ მრეწველობის შექმნაშია... შეუძლებელია რაიმე ეკონომიკურ და საფინანსო პოლიტიკის წარმოება იმ ქვეყანაში, ადაც აღებ-მიცემობის, მრეწველობის ვითარება და ქონებრივი ძალა გამორკვეული და მეცნიერულად შესწავლილი არ არის... ამგვარად, ვგონებ ცხადი უნდა იყოს, რომ ჩვენი ცხოვრების პრაქტიკული მოთხოვნილებაც ქართულ უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობას გვიკარნახებს». [30]. ივანე ჯავახიშვილი იმ ამოცანასაც შემოხაზავდა, რაზეც უნდა ყოფილიყო მომამავალი უნივერსიტეტის მუშაობა კონცენტრირებული: «საქართველოს და კავკასიის წარსული და აწმყო, მისი ბუნება და ადამიანი უნდა შეადგენდეს ამ ქართული უნივერსიტეტის ყოველმხრივ სამეცნიერო კვლევა-ძიების უპირველეს მიზანს». [31].

მოგვიანებით კი 1918 წ. მან მეორე მოხსენება წაიკითხა ამ უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის სამოქმედო გეგმის შესახებ. იგი დაწერლი უნდა იყოს თსუ დაარსების შემდეგ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე. უფრო კონკრეტულად კი 1918 წლის **22 აპრილის** მერე (ამ დღეს დაარსდა ამიერკავკასიის ფედერაცია, რომელიც ტექსტშია მოხსენიებული) **26 მაისამდე** (საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღე). ამდენად მოხსენების მომზადებისა და წაკითხვის თარიღია პერიოდი 1918 წ. 22 აპრილსა და- 26 მაისს შორის. აქედან გამომდინარე, ადვილი გასთვალისწინებელია, თუ რა დრამატულ ვითარებაშია იგი დაბადებული და ამიტომაც ცხადია, თუ რა აუცილებლობას წარმოადგენდა იგი.

საქართველოში 1917 წ. ქართული ეკლესიის ავტოკეფალია აღდგა. ახლა კი იდგა 1818 წელის 26 იანვარს (8 თებერვალს) უნივერსიტეტი დაარსდა. სულ მალე – 1918 წ. 22 აპრილს –

შექმნილმა პოლიტიკურმა ვითარებამ ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნა განაპირობა. ამ ვითარებაში უნივერსიტეტის ამოცანა მეტად გაიზარდა და ივანე ჯავახიშვილიც არ აყოვნებს. მეტიც იგი ცდილობს უნივერსიტეტის და მეცნიერების ეგიდით იკისროს ქართველი ერისა და მისი მეზობელი ერების კონსოლიდაციის დიდი მისია.

მეცნიერი დროის ამოცანას ასე აყალიბებს: «რაკი ამჟამად ჩვენი ერის პოლიტიკური მომავალი და იმედი უკვე ნათლად გამორკვეული გვაქვს (ე.ი. რუსეთისგან უკვე თავისუფალი ვართ და ახლა მოქმედებაა საჭირო საკუთარი ადგილის დამკვიდრებისათვის დ.ს.) და ჩვენი ერის მდგომარეობაც მომავალ საარსებო ბრძოლაში უფრო მკაფიოდ გათვალისწინებადია, გარემოება გვავალეს ეს ერთი დასახული მიზანთაგანი (კავკასიის ხალხების კულტურის შესწავლა დ.ს.) ეხლავე მთელის თავისი სიღრმე-სივრცელით განვიხილოთ და საფუძვლიანი შესწავლის შემდგომ წინასწარ შემუშავებული გეგმისდა მიხედვით მის განხორციელებას შევუდგეთ».

შემდეგ ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ აღმოსავლეთის და მათ შორის კავკასიის ხალხთა კულტურისა და ისტორიის შესწავლა ევროპაში და რუსეთში არც თუ ისე სახარბიელოა, მიუხედავად გარკვეული წარმატებისა. თავად რუსები, რომლებიც მხოლოდ კოლონიზატორები იყვნენ და ივანე ჯავახიშვილის სამართლიანი შენიშვნით «რუს მოსწავლე ახალგაზრდობას თითქმის განსაკუთრებით საელჩო მოღვაწეობის ასპარეზი იზიდავდა აღმოსავლეთ ენების ფაკულტეტისაკენ, წმინდა სამეცნიერო ცოდნისმოყვარეობა და წყურვილი ძალიან იშვიათი სანახაობა იყო.»

ახლა კი ივანე ჯავახიშვილის სამართლიანი დასკვნით რუსეთი მითუმეტეს ვერ მოიცლიდა ამ ხალხებისათვის. მაშინ საქმეს ასეთი პირი უჩანდა. ამიტომ ქართველობამ უნდა იკისროს ამ საქმის ხელმძღვანელობა და მოგვარება. მისი თქმით ეს საჭიროა არა მარტო სამეცნიერო ინტერესებისათვის, არამედ ამას **«წმინდა პოლიტიკური მოსაზრებაც გვიკარნახებს»**. რომ გავიგოთ, თუ რა «პოლიტიკური მოსაზრებაზეა» საუბარი, ის დრო უნდა გავიხსენოთ, როცა ეს სიტყვები იწერებოდა: ფაქტობრივად რუსეთს ნელ-ნელა ვმორდებით, ჩხენკელის მთავრობა თურქეთთან აწარმოებს მოლაპარაკებას და ნელ-ნელა საქართველო დამოუკიდებლობისაკენ მიდის.

ივანე ჯავახიშვილი იძლევა მიმდინარე პროცესების შესანიშნავ პოლიტოლოგიურ ანალიზს. იგი აღნიშნავს პოლიტიკურ ავანსცენაზე, «ოსმალეთის მოულოდნელი გამობრუნებას», რომელმაც «ჩვენთვის საკუთარ პოლიტიკის წარმოების აუცილებლობა ცხადყო». ივანე ჯავახიშვილი ამის უარყოფით შედეგს, პირველ რიგში, «მაჰმადიანი მესხების» თავიანთი ქრისტიანი თანამომძმეების წინააღმდეგ გამოსვლაში ხედავს. თურქების ისლამისტური პროპაგანდის წაქეზებას ამ მაჰმადიან ქართველთა მიერ ქრისტიან ქართველთა სისხლისღვრა მოჰყვა. ყოველივე ამას ივანე ჯავახიშვილის აზრით, ხელი შეუწყო «ჩვენი პოლიტიკის მესვეურთა შეცდომებმა». [32].

ივანე ჯავახიშვილი სკეპტიკურად უყურებს ახლადარსებული «კავკასიის საფედერაციო რესპუბლიკას», რადგანაც «გამთიშავი ძალა იმდენად ძლიერია», რომ

განხეთქილება ყოველთვის მოსალოდნელია. ამ ფედერაციის სუბიექტებს საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს ერთმანეთის საწინააღმდეგო ინტერესები აქვთ და მათი შეთანხმება მეტად საძნელოა. აზერბაიჯანელები თურქებში თავიანთ თვისტომს ხედავენ და ბუნებრივად ისინი მათი მოკავშირენი ხდებიან. სომხები კი «გაზვიადებული ეროვნული პოლიტიკური მოთხოვნები» არიან დამძიმებულები და კავკასიის ერთობაში დისონანსი შეაქვთ. ისინი ინგლისელების მხასრდაჭერით არიან ზურგამაგრებულნი და დიდი სომხეთის სახელმწიფოს შექმნა სურთ, რომელიც შავი და კასპიის ზღვამდე იქნება გადაჭიმული. ამ სივრცის უდიდესი ნაწილი კი სომხებს არასდროს კუთვნიდათ.

ამდენად, ქართველები მალე პირისპირ აღმოჩნდებიან ამ პრობლემების წინაშე. ივანე ჯავახიშვილი მიუთითებს, რომ ჯერ-ჯერობით თურქეთი საფრანგეთისა და ინგლისის მოქმედებით ხელ-ფეხ შეკრულია, მაგრამ ხელსაყრელი გარემოება თუ დაუდგა, აზერბაიჯანელებთან ერთობას მიაღწია და ბაქოს ნავთობს დაეპატრონა, მაშინ ქართველობა სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან თურქების მიერ იქნება გარშემორტყმული. ივანე ჯავახიშვილი ხაზგასმით ამბობს, რომ ჩვენ ასეთ მდგომარეობაში «ჩვენს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში ჯერ არც ერთხელ არა ვყოფილვართ». ამის გამო, ქართველობა ვალდებულია ყველაფერი იღონოს «ოსმალეთის გეგმის სრულიად განხორციელება მომავალში შეუძლებელი შეიქმნას».

ივანე ჯავახიშვილის სამართლიანი დასკვნით ოსმალები საშიშნი არიან არა მხოლოდ სამხედრო თვალსაზრისით, არამედ იდეოლოგიური იარაღით, რომლისთვისაც ისლამურ რელიგიას იყენებენ. ჩრდილოკავკასიელები კი ისლამის მიმდევრები არიან და ამ ფაქტორის გამოყენებით თურქებმა შეიძლება ისინი თავიანთ მოკავშირედ აქციოს. ეს კი ჩვენთვის «სრული დამარცხების მომასწავებელი იქნებოდა იმ ბრძოლაში, რომელიც შესაძლოა მომავალში გაჩაღდეს». ეს რომ არ მოხდეს, ჩვენ წინ უნდა აღვუდგეთ კავკასიელების გადაგვარების პოლიტიკას და საჭირო კონტროლები უნდა მივიღოთ: რელიგიურ ღირებულებას ეროვნული ღირებულება დავუპირისპიროთ და ჩრდილო კავკასიელებს «ეროვნული შემეცნება და სიყვარული გავუღვიძოთ და გულის სიღრმემდე ვაგრძნობინოთ». ოსმალები ისლამის დროშით ჩრდილოკავკასიელებს ადვილად იმორჩილებენ, რადგანაც მათ მწერლობა არა აქვთ და «გადაგვარება ადვილად ეპარებათ». ჩვენ სწორედ ამას უნდა მივაქციოთ ყურადღება და მთელი ძალები აქეთკენ მივმართოთ.

ივანე ჯავახიშვილი კავკასიაში პოლიტიკური კავშირების გაბმას კი არ ცდილობს, რადგან ასეთი რამ მხოლოდ დამოუკიდებელ სუბიექტებს შეუძლიათ. ასეთი კი ჯერ არც საქართველოც იყო და მით უმეტეს ჩრდილო კავკასიის ხალხები. მისი აზრით მათთან კულტურულ-საგანმანათლებლო ურთიერთობის გაბმა აუცილებელია და იგი სწორედ ასეთი კავშირების აღორძინებას სახავს მომავლის ამოცანად. მეცნიერი ამ საკითხს ისტორიაში უძებნის კიდევაც ფესვებს და წინაპართა ნაკვალევზე სიარულს გვიჩვენებს. ჩვენ წარსულში ქრისტიანული მრწამსი შეგვექონდა ჩრდილო კავკასიის ხალხებში და მათში მწერლობის ჩასახვა-განვითარებასაც ვუწყობდით ხელს. ივანე ჯავახიშვილის მტკიცე რწმენით

«ქართველებმა ისევ ჩვენს წინაპრების მაგალითს უნდა მივბადოთ, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ სამოქმედო იარაღი დროის შესაფერისად შევცვალოთ».

თუ რუსები და თურქები მათ გარუსებასა და გათურქებას ელტვოდნენ, «ჩვენ კი სულ სხვა გზით უნდა ვიაროთ. _ ამბობს ივანე ჯავახიშვილი. _ არც რუსების, არც ოსმალთა გზა ჩვენ ქართველებს არ გამოგვადგება. მთეულთა ეროვნულ გადაგვარების აზრი ჩვენ ფიქრადაც არ უნდა გვქონდეს.. მხოლოდ მათი ენისა და ზნე-ჩვეულებათა ყოველმხრივი მეცნიერული შესწავლა და ჩვენი მეზობლების განათლება უნდა იყოს ჩვენი მიზანი». ჩრდილოკავკასიელთა ენის, ისტორიისა და ყოფა-ცხოვრების შესწავლა და მათში განათლების შეტანა არის ივანე ჯავახიშვილის აზრით ის საფუძველი, რაზეც ქართველებისა და ჩრდილოკავკასიელების კეთილმეზობლობა და კეთილგანწყობილება დამყარდება. ამით მათ ერთი მხრივ, რუსული და თურქული გადამგვარებელი გავლენისაგან გადავარჩენთ და, მეორე მხრივ, ჩვენც კეთილგანწყობილ მეზობელ ხალხებს გავიჩენთ».

ივანე ჯავახიშვილის აზრით, ჩრდილოკავკასიელი ხალხების განათლების მისია ქართველობამ უნდა აიღოს საკუთარ თავზე. ამისთვის იგი სამ მთავარ მიზეზს ასახელებს:

1. «კავკასიაში ჰეგემონია ქართველების ხელთ არის»;

2. «კავკასიის მთეულთა და დაღესტნის ენების [33]. შესწავლა ჩვენ ქართველთათვის ისედაც საჭიროა და თვით ჩვენი დედაენის ღრმა სამეცნიერო შესწავლისათვისაც აუცილებელია. ამასთანავე ვითარცა მეზობლებს ამ ენების შესწავლა სხვებზე უფრო ადვილად შეგვიძლიან».

3. «თვით ჩვენივე მომავალი პოლიტიკური კეთილდღეობაზე ზრუნვა გვიკარნახებს, რომ ჩვენს ჩრდილოეთის მეზობლებს საკუთარი ეროვნული შემეცნება და მწერლობა ჰქონდეთ და არა გადამგვარებელი პანთურქული... რომ ჩვენი მოღვაწეობის შედეგი უნდა ნაყოფიერი იყოს და ჩვენი და მთეულ-დაღესტნელთა შორის ძმობისა და სულიერი კავშირის გრძნობას მტკიცე საფუძველი შეუქმნას».

როგორც ვხედავთ, ივანე ჯავახიშვილის მსჯელობა დიდად სცდება სამეცნიერო ინტერესების ფარგლებს და იგი სამოქმედოდ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ პოლიტიკას გკარნახობს. ამ გეგმის სრული მასშტაბით განხორციელება, რომელიც შემდეგ რუსთა მეშვეობით საგრძნობლად შეფერხდა, მოგვცემდა ჩვენთვის დღეისათვის საოცნებო შედეგებს და ალბათ, თავიდან აგვაცილებდა იმ კატაკლიზმებს, რაც დატრიალდა XX ს-ის ბოლოსა და XXI ს-ის დამდეგს.

ივანე ჯავახიშვილს, როგორც ისტორიკოსს, კარგად მოეხსენებოდა კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ძველი და ახალი მოსახლეობის შესწავლის მნიშვნელობა ქართველი ერისათვის. აქ მცხოვრები ხალხების ისტორიასთან კავშირში უნდა დადგენილიყო ქართველი ერის გარდასული ცხოვრების პერიპეტეები და ახსნილიყო კულტურული თავისებურებები. ამის შესახებ იგი ჯერ კიდევ 1908 წ. გამოცემულ «ქართველი ერის ისტორიის» I წიგნში მიუთითებდა. [34].

შემდეგში მისი გამოკვლევა უნივერსიტეტს დაუსახა ამოცანად. [35]. ახლა, ასეთ პოლიტიკური დუდილის პირობებში, როცა დანამდვილებით არავის შეეძლო ეთქვა, ქართველი ერის მომავალი როგორ განვითარდებოდა, იგი პოლიტიკურ ამოცანას სახავს და მის ხორცშესხმას უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს სთხოვს. აქ მისი შორსმხედველობა და გამჭრიახობა ჩანს. იგი არ მოითხოვს პოლიტიკური დაწესებულების შექმნას, რომელიც შესაძლოა ბევრისთვის გამაღვიანებელი გამომდგარიყო. ივანე ჯავახიშვილი ეროვნულ-პოლიტიკური ამოცანის განხორციელებას სამეცნიერო-კულტურული ასპექტით ცდილობს, რომელმაც შეუძლებელია ამ ხალხებში პროტესტი გამოიწვია.

ეს ყველაფერი ერთი უმაღლესი სასწავლებლის ამოცანები არაა, ეს ერის მომავალზე ზრუნვაა, რომელიც მოცემულ ვითარებაში სწორედ უნივერსიტეტს უნდა ეკისრა. მაშინ ამას სხვა ვერანაირი დაწესებულება ვერ ითავებდა. რა გაგვაჩნდა მაშინ? ავტოკეფალია ის-ის იყო რომ აღსდგა, სახელმწიფოებრიობა კი ჯერ-ჯერობით არ გვქონდა და არსებული ამიერკავკასიის ფედერაციის მომავალიც საეჭვო იყო. ასეთ პირობებში ივანე ჯავახიშვილის აზრით მთავარი და მძიმე ტვირთი მეცნიერებამ და განათლებამ უნდა აიღოს თავის თავზე. ამიტომაც ივანე ჯავახიშვილი საქართველოს მომავალს მეზობლებთან საჭირო პოლიტიკას მოხაზავს, სადაც მთელი კავკასიელების გვერდში დაყენების ამოცანა დასმული.

ჩრდილოკავკასიელი ხალხების ენის, ისტორიისა და ყოფის შესწავლა ივანე ჯავახიშვილის მოწაფეებმა და მოწაფეთა მოწაფეებმა (ს. ჯანაშია, ა. ჩიქობავა, გ. ჩიტაია, ქ. ლომთათიძე, გ. როგავა, ა. რობაქიძე და სხვები) წარმატებით განახორციელეს, მაგრამ რუსული გადამგვარებელი გავლენის ბოლომდე ამოძირკვა, სამწუხაროდ მათ ძალებს აღემატებოდა და ამიტომაც კავკასიელ და ქართველ ხალხთა შორის ურთიერთ სიყვარული საჭირო დოზით ვერ დამყარდა. მიუხედავად ამისა, ივანე ჯავახიშვილის დებულება დღესაც ძალაშია და იგი მუდამ აქტუალური იქნება. ჩვენ ხომ უხსოვარი დროიდან ერთმანეთის მეზობლები ვართ და მომავალშიც აქ უნდა ვიცხოვროთ. ურთიერთსიყვარულისა და მეგობრობის გარეშე კი ყოველთვის დავზარალდებით, როგორც არაერთხელ მოგვსვლია. ამიტომაც, ქართულმა მეცნიერებამ და პირველ რიგში ივანე ჯავახიშვილის პირმშო უნივერსიტეტმა, კვლავაც უნდა იაროს იმ გზით, რომელზეც დიდმა ივანე ჯავახიშვილმა დაგვაყენა.

* * *

P.S. ეს დოკუმენტი ინახება საქართველოს ცენტრალურ არქივში (ფონდი 471, ანაწერი 1, საქმე № 7) და იგი პირველად გამოაქვეყნა თ. ტაბლიაშვილმა «საისტორიო მოამბეში», 21-22, თბ. 1967. მან გარკვეული ადგილები ამოიღო პოლიტიკური მიზანშეუწონლობის გამო. ამ გამოცემაში ისინი აღდგენილია, შავადაა გამოყოფილი და კვადრატულ ფრჩხილებშია მოთავსებული.

«მოხსენება ტფილისის ქართული უნივერსიტეტის

სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის მომავალი

სამოქმედო გეგმის შესახებ

უკვე იმ მოხსენებაში, რომელიც ტფილისში ქართული უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობას ეხება, აღნიშნული მქონდა ის მთავარი მიზნებიც, რომელიც ჩვენს სამეცნიერო ტაძარს დასახული უნდა ჰქონოდა. სხვათა შორის იქ ნათქვამი იყო, რომ ერთ-ერთ ამგვარ მიზნად კავკასიის ერების ენებისა და ზეპირსიტყვაობის, აგრეთვე ზნე-ჩვეულებათა მეცნიერული შესწავლა უნდა ყოფილიყო. [რაკი ამჟამად ჩვენი პოლიტიკური მომავალი და იმედი უკვე ნათლად გამორკვეული გვაქვს და ჩვენი ერის მდგომარეობაც მომავალ საარსებო ბრძოლაში უფრო მკაფიოდ გათვალისწინებადია, გარემოება გვავალებს ეს ერთი დასახული მიზანთაგანი ეხლავე მთელის თავისი სიღრმე-სივრცელით განვიხილოთ და საფუძვლიანი შესწავლის შემდგომ წინასწარ შემუშავებული გეგმისდა მიხედვით მის განხორციელებას შევუდგეთ].

ზემოაღნიშნულს მოხსენებაში ნათქვამი იყო, რომ ჩვენ მახლობელ და შორეულ ერების ენისა, მწერლობისა და ისტორიის შესწავლა ჩვენივე ენისა, მწერლობისა და წარსულის მეცნიერულ შესწავლისთვისაც აუცილებლადაა საჭირო. აქამდის ისე იყო საქმე მოწყობილი, რომ მხოლოდ რუსეთში, პეტერბურგის უნივერსიტეტში არსებობდა ფაკულტეტი, რომელსაც მიზნად მთელი აღმოსავლეთის მეცნიერული შესწავლა ჰქონდა დასახული. უცხოეთში, მხოლოდ ორგან არის აღმოსავლეთ ენების სასწავლებელი, ბერლინსა და პარიზსში, მაგრამ ორთავეს უმთავრესად პრაქტიკული და არა სამეცნიერო მიზანი აქვთ. ისე კი დასავლეთ ევროპაში, სხვადასხვა უნივერსიტეტებში, მხოლოდ თითო-ორი სხვადასხვა დარგის წარმომადგენელი ჰყავთ, ერთად კი, ორიენტალისტები არსად არიან თავმოყრილნი.

[რუსეთის სამეცნიერო ტაძრის ხანგრძლივმა ისტორიამ სრულს სიცხადით დაამტკიცა, რომ არც რუს მეცნიერთა და არც რუს სტუდენტთა შორის მათ მრავალრიცხოვნებისადა მიუხედავად აღმოსავლეთისა და სამხრეთის, მაშინ თვით მათივე სახელმწიფოში მცხოვრებ ერთა აწმყოისა და წარსულის მეცნიერული შესწავლა არ აინტერესებთ. კერძოდ,] საქართველოსა, სომხეთისა და საზოგადოდ კავკასიის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ განსვენებული ფრანგი მეცნიერი მ. ბროსე, ორიოდე უცხოელი და თვით ქართველი და სომეხი მეცნიერნი რომ არ ყოფილიყვნენ, სრულებით არაფერი არ იქმნებოდა გაკეთებული. ქართველ და სომეხ მეცნიერთა ღვაწლი მეცნიერების წინაშე ამ მხრივ სამართლიანად აღნიშნულია პროფ. ვ. ბარტჰოლდის მიერ მის წიგნში «История изучения Востока в Европе и в Роосии (СПБ. 1911 წ. გვ. 254-255).

[მეტად დამახასიათებელია, რომ ასი წლის განმავლობაში რუსთა შორის ერთიც არ აღმოჩენილა, რომელსაც თავის კვლევის საგნად განსაკუთრებით ან საქართველო, ან სომხეთი, ან კავკასიის დანარჩენი ნაწილები აეღო. დანარჩენ აღმოსავლეთის შესწავლაშიც, როგორც ვ. ბარტჰოლდის მიერ პირუთენელად ნათქვამი აქვს, რუსებმა ვერ გაამართლეს ის მოლოდინი, რომელიც შეეფერებოდა რუსეთის გეოგრაფიულს მდებარეობას, მცხოვრებთა მრავალრიცხოვანს შემადგენლობას და ხანგრძლივ მოღვაწეობას (იქვე 256). რუს მოსწავლე ახალგაზრდობას თითქმის განსაკუთრებით საელჩო მოღვაწეობის ასპარეზი იზიდავდა აღმოსავლეთ ენების ფაკულტეტისაკენ, წმინდა სამეცნიერო ცოდნისმოყვარეობა და წყურვილი ძალიან იშვიათი სანახაობა იყო.

რუსეთის თანამედროვე საბედისწერო დაშლამ და თვით რუსთა სახელმწიფო სამზღვრების ძალზე შემცირებამ რუსეთი მახლობელს აღმოსავლეთს მეზობლობას ჩამოაშორა და ამის გამო მომავალში ის მიმზიდველობაც გაჰქრება, რომელიც რუსებს აღმოსავლეთის შესწავლას აიძულებდა. ამიტომ საეჭვო ხდება რომ მან მომავალში აღმოსავლეთის შესწავლაში წინანდელზე მეტი ნაყოფიერების გამოიჩინა შესძლოს].

ჩვენი მთელი მომავალი და გონივრულად გათვალისწინებული ეროვნული პოლიტიკა გვაძალავს, რომ კავკასიისა და მახლობელ აღმოსავლეთის ყოველმხრივი მეცნიერული შესწავლა ჩვენ, ქართველებმა, ქართულმა მეცნიერებამ და ჩვენმა უნივერსიტეტმა იკისროს. ამას, როგორც აღნიშნული გვქონდა, თვით ჩვენივე ერისა და ქვეყნის სამეცნიერო შესწავლაც მოითხოვს. [მაგრამ ამას ჩვენ წმინდა პოლიტიკური მოსაზრებაც გვიკარნახებს.

რუსეთის დაშლამ და პოლიტიკურმა დაუძლურებამ და ოსმალეთის მოულოდნელმა გამოზრუნებამ და გაძლიერებამ ჩვენთვის საკუთარ პოლიტიკურს წარმოების აუცილებლობა ცხადყო. ოსმალეთი თუმცა კულტურით ჩამორჩენილი ქვეყანაა, მაგრამ მის ხელთ არის ისეთი ძლიერი იარაღი, რომელიც მასზე უფრო დაქვეითებულს ერებს სრულებით უბრძოლველად არამც თუ უმორჩილებს, არამედ მის ერთგულ, ყურმოჭრილ ყმადაც ხდის. ეს იარაღი ისლამია, რომლითაც მან თავისკენ არა ერთი და ორი ერი მიიზიდა და ეროვნულად ან სრულებით გაათურქა, ან ისე გადააგვარა, რომ ღვიძლს თანამომძმეებს ჩამოაშორა და თავის პოლიტიკის გულმოდგინე აღმასრულებლად აქცია.

[ეს ოსმალეთი ჩვენი პოლიტიკის მესვეურთა შეცდომებით დაუძლურებული საქართველოს სხვათა შორის ამავე ისლამის წყალობით ჩვენ ღვიძლს ძმებს მაჰმადიან მესხებს ჩვენს წინააღმდეგ ამხედრებს, ძმათა სისხლს აღვრევინებს და ჩვენი ქვეყნის მშვენიერსა და ნაყოფიერს კუთხეს ხელითგან გვაცლის. მაგრამ მომავალში ჩვენ ამაზე უფრო მეტი განსაცდელიც მოგველის. რამდენად დღეგრძელი იქნება ჩვენი კავკასიის საფედერაციო რესპუბლიკა ამის წინასწარმეტყველება ძნელია, მაგრამ გამთიშავი ძალა იმდენად ძლიერია, რომ ამ მხრივ განხეთქილება მუდამ მოსალოდნელია და ესეთმა განხეთქილებამ შეიძლება თვით ფედერაცია თან გადაიყოლოს. ასეთ გამთიშავ ძალად ერთის მხრით სომხებია თავიანთ შეუთანხმებელ, უცხო ძალაზე მოიმედე პოლიტიკითა და გაზვიადებული ეროვნული

პოლიტიკურ მოთხოვნილებებით, მეორეს მხრით კავკასიის თურქობა, რომლის ოსმალეთისკენ მისწრაფება მათ ტომობრივ ნათესაობისა გამო სრულებით ბუნებრივია. ამიტომ ყოველ უთანხმოებისა, ან თავიანთი მდგომარეობით უკმაყოფილების დროს მათი გულისყური და გონება ოსმალეთისკენ იქმნება. ამჟამად ეს ალღოთი ხდება, შემდეგ კი, რაც უფრო და უფრო განმტკიცდება მათი ეროვნული შემეცნება, ეს მისწრაფება მათთვის შეგნებულ და მიზანშეწონილი პოლიტიკის საგნად იქცევა. ჩვენ არასდროს არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თუ ოსმალეთი მომავალში პოლიტიკურად დამარცხდა, მისი ერთადერთი ხსნა და გამობრუნება შესაძლებელია მხოლოდ ჩრდილოეთ სპარსეთის ადერბაგანისა და ამიერკავკასიის აღმოსავლეთ ნაწილის შემოერთებით, რათგან იქაც მათი მოძმე თურქები ცხოვრობენ, რომელნიც ჩვენში შეცდომით თათრებად იწოდებიან. ამგვარი შეერთება ერთის მხრით მათ რიცხვს გაამრავლებს, ხოლო მეორეს მხრით მათ სიმდიდრეს ისეთ წყაროს ჩაუგდებს ხელში, როგორც ბაქოს ნავთის წყაროებია. ამიტომ ოსმალეთის დიპლომატების რწმუნებისდა მიუხედავად ოსმალეთი უეჭველია ამ თავის გულისზრახვას თავს არ დაანებებს და თავის მიზნის მისაღწევად შესაფერის დრომდე ჯერ ფარულ, ხოლო შემდეგ ცხადი მუშაობა ექმნება.

საფიქრებელია, რომ რაკი ეხლა მას სამხრეთით და დასავლეთით ინგლის-საფრანგეთისაგან განსაცდელი მოელის, იმდენ თავისუფალ ძალა ვერ მოჰკრიბოს, რომ ამ მიზნის განხორციელება ამჟამადვე შესძლოს. შემდეგში კი ამისთვის ხელსაყრელ გარემოებას უნდა უცადოს. მაგრამ ოსმალეთის მხრივ ამ მიზნის მიღწევა ჩვენ დიდს საფრთხეს გვიმზადებს იმიტომ, რომ მაშინ ჩვენ სამხრეთითაც და აღმოსავლეთითაც ოსმალეთით ვიქმნებით შემორტყმული და საქართველო ამგვარად მომწყვდეული დარჩებოდა. ასეთ მდგომარეობაში კი ჩვენ ქართველნი ჩვენს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში ჯერ არც ერთხელ არ ვყოფილვართ. ამიტომ თუ სამხრეთით სამხედრო საქმეების მიმდინარეობა ოსმალეთს მართლაც საშუალებას მისცემს კავკასიის დაპყრობისათვის საკმაო რიცხვი თავისუფალი 30-50 000 მეომარი გამოიმეტოს და იგი იძულებული იქმნება თავის ზრახვების განსახორციელებლად სხვა უფრო მარჯვე დროს უცადოს, მაშინ ჩვენ ქართველები უნდა ვეცადნეთ, რომ ოსმალეთის გეგმის სრულად განხორციელება მომავალში შეუძლებელი შეიქმნას. ოსმალეთი იმდენად თავის სახელმწიფო ძალით და მანქანით არ არის საშიში, რამდენადაც ისლამის იარაღით. ამ მხრივ დიდი უბედურებაა, რომ ჩრდილოეთ კავკასიის მთელთ თითქმის მთლად მაჰმადის სჯულის მიმდევართ ეროვნული შეგნება ძალიან ნაკლებ აქვთ განვითარებული და რაკი კულტურულადაც ჩამორჩენილები არიან, ოსმალეთის სრულიად ისლამობის ქადაგების ანკესზე ასე ადვილად ეგებიან. ამიტომ თუ რომ ოსმალეთი თავის ზრახვის განხორციელებას მოიწადინებს, ჩრდილოეთ კავკასია მის ერთგულ მოკავშირედ და ჩვენ მტრად იქმნება. ასეთ გარემოების შესაძლებლობა კი ჩვენი სრული დამარცხების მომასწავებელი იქმნებოდა იმ ბრძოლაში, რომელიც შესაძლოა მომავალში გაჩაღდეს.

ამის გამო] ჩვენ ქართველთა დაუცხრომელი ცდა ერთ მიზნისკენ უნდა იყოს მიპყრობილი, რომ ჩვენ კავკასიის მთეულებს, ჩვენს მეზობლებს ეროვნული შემეცნება და სიყვარული გავუღვიძოთ და გულის სიღმემდე ვაგრძნობინოთ, რომ სარწმუნოების გარდა ადამიანებისთვის სხვა ბევრი ღირებულებაც არსებობს. თუნდაც რომ ოსმალეთისა და მის პოლიტიკურ მიზნებსაც თავი დავანებოთ და მხოლოდ ჩვენი მსჯელობა კავკასიის რესპუბლიკის მომავალს ბედილბალს არ გასცილდეს, მაშინაც ჩვენ, ქართველთათვის, მთეულთა და კავკასიის თურქების კავშირი და სარწმუნოებრივ ერთობით ნაკარნახევი ჩვენს წინააღმდეგ თანხმობრივი მოქმედების შესაძლებლობა დიდს საფრთხეს წარმოადგენს. ამიტომ, ჩვენი მიზანი უნდა იყოს ეროვნული გრძნობა შევაგნებინოთ და ამით სრულიად ისლამობის მავნე გავლენა გავაქარწყლოთ.

ყოველ საღს ეროვნებას, თუნდაც ჩამორჩენილს, სტიქიური ეროვნული სიყვარული აქვს. ამ მხრივ კავკასიის მთეულნიც თავიანთ სტიქიურ თავისებურების მოტრფიალენი და დამცველნი არიან. მაგრამ რაკი არც ერთს მათგანს მწერლობა არა აქვს, გადაგვარება ადვილად ეპარებათ, ან თურქული სრულიად ისლამობის საშუალებით, ან სხვანაირი, როდესაც ისინი თავიანთ მიწაწყალს მოსწყდებიან ხოლმე. მაინც და მაინც, სარწმუნოებრივი ერთობა მათ ყველაზე მეტად თურქობასა და ოსმალეთთან აკავშირებს. ეს კი არც სამართლიანია და როგორც ვთქვით პოლიტიკურად ჩვენთვის არც სასურველია. სხვებზე მეტად კავკასიის მთეულებთან ტომობრივად ჩვენ ქართველნი ვდგავართ ახლო და წინათ, როგორც ცნობილია, ქართველობას იმოდენი სულიერი, გონებრივი და სამხედრო ძალა შესწევდა, რომ ჰეგემონია უცილობლად ჩვენს წინაპრებს ეპყრათ: ისინი იყვნენ დარიალანისა კარის მცველნი, მათ ერთმანეთში დამზავებელნი და მათ შორის სწავლისა და ცოდნის გამავრცელებელნი. ქართველი მქადაგებელნი ძველ დროითგანვე მოყოლებული, ოსეთში, დიდოეთში, და ლეკეთში მიდიოდნენ და ქრისტიანობას ავრცელებდნენ. ოსურ და სხვა მთეულთა ენებიც ცხადად მოწმობენ, რაოდენად ძლიერი იყო ძველ დროს ქართველთა კულტურული გავლენა.

კავკასიის მთეულთა შორის მეცხრამეტე საუკუნეში ქართველთა კულტურული გავლენა გაჰქრა. ჩვენს მაგიერ რუსებმა და ოსმალებმა დაიწყეს იქ მუშაობა, მაგრამ [რუსებსაც და] ოსმალებს[აც] მთეულნი მხოლოდ პოლიტიკურად აინტერესებ(დათ)[დნენ]. მათ სურდათ ისინი ეროვნულად გადაეგვარებინათ და თავის მონებად ექციათ: [რუსების] იდუმალი ზრახვა [მთეულთა თანდათან გარუსება იყო,] ოსმალებისა [კი] მაჰმადიანობის იარაღით მათი გათურქება იყო და არის. [რაკი რუსები სარწმუნოებრივი ქადაგებით ვერაფერს გახდნენ და ატყობდნენ რომ ეს საქმეს უფრო ამწვავებდა, ვითომც კულტურულს მოღვაწეობის საშუალებით მათი გარუსება უნდოდათ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მაშინდელმა მზრუნველმა გადააკეთა და უსლარის მიერ ნახმარი ქართული ასოების მაგიერ რუსულის ხმარება დააკანონა. ამგვარადვე, თუმცა უძველესი ოსური საქრისტიანო მღვდელმსახურების წიგნები ქართველებმა სთარგმნეს ოსურად და ქართულ ასოებითვე დაბეჭდეს, მაგრამ ქართული განდევნილი იყო და ამისთვისაც რუსული ანბანი შემოიღეს, იმავდროულად რომ რუსული ანბანი კავკასიის ენების ბგერითი შემადგენლობისათვის გამოსადეგარი არ არის,

ქართულის ღირსება კი ამ მხრივ უკვე ბარ. უსლარმაც აღნიშნა]. ოსმალთა წინათ იდუმალი და ამჟამად უკვე ცხადი ქადაგება მაჰმადიანობის სამოსელთან ერთად არაბულ-თურქულს ანბანს ავრცელებს, რომელიც კავკასიის ენების ბგერების გამოსახატავად [თუ რუსულ ანბანზე უარესი არა, უკეთესი მაინც და მაინც] არ არის. [როგორც რუსული ანბანი გამარუსებელ გზად უნდა ყოფილიყო, ისე] არაბულ-თურქული ანბანი სრულიად-თურქობის მიზანს ემსახურებოდა და ემსახურება. მაგრამ თუ რუსეთის სამოქალაქო და სამეცნიერო კულტურის არსებობის უარყოფა რასაკვირველია შეუძლებელია, ოსმალეთი კი ამ მხრივ ჩამორჩენილია და უნაყოფო, რომ აქამდისაც თავისთვის საკუთრივაც უმაღლესი სამეცნიერო ტაძარი (სამკურნალო ფაკულტეტის გარდა) და მეცნიერება ვერ შეუქმნია. ამიტომ, თურქულ გავლენის გაძლიერება იმის გარდა, რომ ჩვენთვის პოლიტიკურ საფრთხეს წარმოადგენს, თვით კავკასიის მთეულების კულტურასაც არაფერს სიკეთეს არ უქადის.

ჩვენ კი სულ სხვა გზით უნდა ვიაროთ. [არც რუსების, არც ოსმალთა გზა ჩვენ ქართველებს არ გამოგვადგება.] მთეულთა ეროვნულ გადაგვარების აზრი ჩვენ ფიქრადაც არ უნდა გვქონდეს. საამისოდ ჩვენ არც ზალა გვაქვს და თუნდაც რომ ძალა გვქონდეს, მაინც არ უნდა ვიკადროთ. ჩვეულებრივ ამგვარი პოლიტიკაც უფრო უსიამოვნობასა და მტრობას სთესავს, ვიდრე სიყვარულს. მხოლოდ მათი ენისა და ზნე-ჩვეულებათა ყოველმხრივი მეცნიერული შესწავლა და ჩვენი მეზობლების განათლება უნდა იყოს ჩვენი მიზანი. [რაკი რუსეთმა კულტურული მოღვაწეობის უნარი ვერ გამოიჩინა], ხოლო ოსმალეთის ამგვარი მოღვაწეობა რომც უნდოდეს არ შეუძლიან, ამიტომ ეს დიდი და პასუხსაგები საქმე ქართულმა მეცნიერებამ და ქართველობამ უნდა იკისროს.

ჩვენ, ქართველებმა, ისევ ჩვენ წინაპრების მაგალითს უნდა მივბადოთ, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ სამოქმედო იარაღი დროის შესაფერისად შევცვალოთ. უკვე ძველს დროსვე ქართველი მქადაგებელნი ოსეთში და დაღესტანში შესულან და ქრისტიანობა გაუვრცელებიათ. ამის ოსეთში და ხუნზახში შენახული ქართული ეკლესიების ნანგრევები და ასოთმთავრული წარწერების ნატეხები ცხად ჰყოფენ. მე-XIII-ე ს.-შიც ქართველმა განთქმულმა საეკლესიო მოღვაწემ პიმენ სალოსმა გარესჯით ბელაქანში წასულმა «ნათესავი ლეკთა წარმართობისაგან მოაქცივნა» (ყამთააღ. 889, გვ. 731). დასასრულ ჩვენ პოლიტიკურ დაცემის ხანაშიაც, როდესაც საკუთარს დამოუკიდებლობას ვკარგავდით, ჩვენმა მოღვაწეებმა იმოდენი შეიძლეს, რომ ოსებს სამღვდელმსახურო წიგნები ქართულითგან გადაუთარგმნეს და ქართულ ასოებით დაუბეჭდეს. ეს თითქოს პირველი ცდა იყო ოსური მწერლობის შესაქმნელად და ოსურ მწერლობის ენის უძველესი ნიმუშია. მაგრამ უეჭველია, ძველ დროსაც და მე-XIII-ე საუკ.-შიაც პიმენ სალოსს უნდა მკვიდრთა დედა ენა სცოდნოდათ და მის ენაზე ექადაგათ.

ამის მსგავსადვე თანამედროვე ქართული მეცნიერებამ და ქართველობამ თანამედროვე იარაღით აღჭურვილმა კავკასიის მთეულთა ენები შეისწავლოს და შემდეგ მათ შორის განათლებისა და ეროვნული შემეცნების შუქი მოჰფინოს. ეს კულტურული მოვალეობა სულერთია ვინმემ უნდა შეასრულოს იმიტომ, რომ სრულებით ცხადია, რომ თითონ

დალესტნისა და ჩრდილოეთ კავკასიის მკვიდრთ თავის საკუთარი ძალით ამის შექმნა არ ძალუძო.

[ხოლო რაკი რუსეთსა და ოსმალეთს მხოლოდ პოლიტიკური, გადამგვარებელი ზრახვები ჰქონდათ და აქვთ, ისინი როგორც დავრწმუნდით, ამ მიზნისთვის არ გამოდგებიან, ადგილობრივ კავკასიის ერთა შორის კი სხვებზე ჩვენ ქართველებს ცხადია უპირატესობა გვაქვს. ჩვენებურს თურქებს, ე.წ. თათრებს თავიანთთვისაც ვერ მოუვლიათ და საამისო ძალა არც შესწევთ და, თუნდაც შესწევდეთ ვიდრეც, მათი მოღვაწეობა კავკასიის მთეულთა გათურქებას უფრო შეუწყობს ხოლმე ვიდრე მათ ეროვნულ გრძნობებისა და მწერლობის აღორძინებას].

სომეხთ აქამდის კავკასიის მთეულთადმი არავითარი ყურადღება არ მიუქცევიათ და ამგვარი აზრი ფიქრადაც არ მოსვლიათ. ეს ალბათ იმიტაც აიხსნება, რომ სომეხები თავის მოსახლეობით არსად მათ მეზობლად არ ითვლებიან და მათთვის ამ საკითხის იმდენად მწვავე და დიდი მნიშვნელობა არა აქვს, როგორც ჩვენთვის. [მაგრამ თუნდაც რომ სომეხებს ამგვარი მოღვაწეობა სდომებოდათ, ვეჭვობ მათ შრომას რაიმე ნაყოფი გამოეღო. იმ ცხად მტრობისა და შუღლის გამო, რომელიც მათსა და მაჰმადიანთა შორის სუფევს, აგრეთვე იმ პოლიტიკურ მიმართულებისა გამო, რომელსაც სომეხები მისდევდნენ და ეხლაც მისდევენ და რომელსაც კავკასიის მთეულნი და დალესტანი არასდროს ნებაყოფლობით არ შეურიგდება].

ჩვენ, ქართველებს, ამ მხრივ, როგორც ნათქვამი იყო, ბევრი უპირატესობა გვაქვს. ჯერ კიდევ ეხლაც კავკასიის მთეულებს და დალესტანს კარგად ახსოვს, რომ წარსულში ჩვენ ყველა კავკასიელთა დამზავებელნი და შემაკავშირებელნი ვიყავით, რომ საქართველოს ხელთ იყო მართო პოლიტიკური კი არა, არამედ კულტურული ჰეგემონია. ეხლაც, თუმცა ჩვენ პოლიტიკურად უძლურნი ვართ, მაგრამ მთელ კავკასიაში მაინც ერთადერთი ერი ვართ, რომელსაც ასე თუ ისე თავის შინაურ წესიერების დაცვაც შესძლო და თავის მეზობლების [შემარიგებელი და დამზავებელია,] შერიგება და წესიერებისა და თანხმობის დამყარება (ასეა წინადადება «გასწორებული», დ.ს.) [ეხლაც ყველასათვის ცხადია, რომ კავკასიისა და განსაკუთრებით კავკასიაში ჰეგემონია ქართველების ხელთ არის, – ჯერ ეს ერთი.

მეორეც ისა, რომ კავკასიის მთეულთა და დალესტნის ენების შესწავლა ჩვენ ქართველთათვის ისედაც საჭიროა თვით ჩვენი დედაენის ღრმა სამეცნიერო შესწავლისათვისაც აუცილებელია. ამასთანავე ვითარცა მეზობლებს ამ ენების შესწავლა სხვებზე უფრო ადვილად შეგვიძლიან.

მესამეც ისა, რომ თვით ჩვენივე მომავალი პოლიტიკური კეთილდღეობაზე ზრუნვა გვიკარნახებს, რომ ჩვენს ჩრდილოეთის მეზობლებს საკუთარი ეროვნული შემეცნება და მწერლობა ჰქონდეთ და არა გადამგვარებელი პანთურქული. მაშასადამე, ამ მხრივაც ქართველობისთვის ზემოაღნიშნული საკულტურო შრომის გაწევა უეჭველია მოუხდება, რაკი ჩვენ ქართველებთან მათ კარგი მეზობლური განწყობილება აქვთ და ამასთანავე მათთვისაც ცხადი იქმნება, რომ ჩვენ არც მათი პოლიტიკური ბატონობა გვსურს და მთელი ჩვენი ძალღონითაც მოწადინებულნი ვართ, რომ ისინი ეროვნულს გადაგვარებას გადავარჩინოთ და

პირიქით შეძლებისამებრ მათს ეროვნულს აღორძინებას ხელი შევუწყოთ, ამიტომ საფიქრებელია, რომ ჩვენი მოღვაწეობის შედეგი უნდა ნაყოფიერი იყოს და ჩვენი და მთელ-დაღესტნელთა შორის ძმობისა და სულიერი კავშირის გრძნობას მტკიცე საფუძველი შეუქმნას].

დასარულ, თვით ჩვენი ქართული ანბანიც მათ ენების ბგერათა გამოსახატავად, როგორც თავის დროზე უსლარმაც აღნიშნა, სხვა ყველა ანბანზე უკეთესია.

ერთა შორის მჭიდრო დაახლოება შეუძლებელია, თუ რომ ენის უცოდინრობა ერთავ მხრის მოღვაწეებს საშუალებას არ აძლევს ერის გულისნადები შეიგნოს და გაიზიაროს და თავისი გულისტკივილი სიღრმემდე აგრძნობინოს. ამიტომაც, ჩვენი მუშაობა თავდაპირველად კავკასიის მთელთა და დაღესტნელთა ენის შესწავლით უნდა დაიწყოს. ეს კი ჩვენი უნივერსიტეტის წმინდა მოვალეობაა და სწორედ მან უნდა იკისროს.

1918 წ.»

მითითებული ლიტერატურის სია:

1. გაზ. «სახალხო ფურცელი», 1917 წ. 5 მარტი, № 811.
2. გაზ. «ერთობა», 1917 წ. 23 მარტი, № 8.
3. გ. შარაძე, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დასავლეთევროპული ცენტრი ქენაევამი და პოლიტიკური ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ევროპაში, თბ., 2006, გვ. 43.
4. გ. შარაძე, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დასავლეთევროპული ცენტრი ქენაევამი და პოლიტიკური ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ევროპაში, თბ., 2006, გვ. 42.
5. გაზ. «საქართველო» 1917 წ. 22 თიბათვე (ივნისი).
6. მ. გაფრინდაშვილი, საქართველოს ახალი ისტორია, თბ., 1995, გვ. 67. გაზ. «სახალხო ფურცელი», 1917 წ. 7 მარტი.
7. მ. გაფრინდაშვილი. საქართველოს ახალი ისტორია, თბ., 1995, გვ. 65.
8. გაზ. «სახალხო ფურცელი». 1917 წ. 7 მარტი. № 812.
9. «სახალხო ფურცელი». 1917 წ. 14 ივნისი, № 888.
10. ცნობა მომაქვს ა. ბენდიანიშვილის წიგნიდან: საქართველოს პირველი რესპუბლიკა. თბ. 2001. გვ. 63.
11. ს. ჯორბენაძე, ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა, თბ., 1984. გვ. 184.
12. წერილი ინახება თსუ მუზეუმში.
13. შ. ვადაჭკორია, საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხები (XX საუკუნე). წიგნი II. თბ., 2006. გვ. 50.
14. შ. ვადაჭკორია, საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხები (XX საუკუნე). წიგნი II. თბ., 2006. გვ. 51.
15. შ. ვადაჭკორია, საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხები (XX საუკუნე). წიგნი II. თბ., 2006. 52.
16. შ. ვადაჭკორია, საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხები (XX საუკუნე). წიგნი II. თბ., 2006, 35-36.
17. სცსსა, ფ. 1836, აღწ. 1. საქ. 5. ფურც. 26; ვუთითებ შ. ვადაჭკორიას წიგნიდან საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხები (XX საუკუნე). წიგნი II. თბ., 2006, გვ. 60-61.
18. გაზ. «ერთობა», 1918 წ. 24 იანვარი, № 18. შ. ვადაჭკორია, საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხები (XX საუკუნე). წიგნი II. თბ., 2006. გვ. 61
19. ცსსა ფ. 1836, აღწ. 1, საქ. 5. ფურც. 31-32. ვუთითებ შ. ვადაჭკორიას წიგნიდან: საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხები (XX საუკუნე). წიგნი II. თბ., 2006, გვ. 63.

20. შ. ვადაჭკორია, საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხები (XX საუკუნე). წიგნი II. თბ., 2006. გვ. 64
21. გაზ. «ჩვენი ქვეყანა», № 18 . 26. 01. 1918 წ.
22. გაზ. «ერთობა», 1918 წ. 6 იანვარი.
23. სცსსა ფ. 1836. აღწ. 1. საქ. 5. ფურც. 49-50; ვუთითებ შ. ვადაჭკორიას წიგნიდან: საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხები (XX საუკუნე). წიგნი II. თბ., 2006, გვ. 66.
24. შ. ვადაჭკორია, საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხები (XX საუკუნე). წიგნი II. თბ., 2006, გვ. 67.
25. ზ. ავალიშვილი, საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-21 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, თბ., 1990. გვ. 52.
26. ვ. ნოზაძე, საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო, თბ., 1989, გვ. 32.
27. ვ. ნოზაძე, საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო, თბ., 1989, 32
28. ზ. ავალიშვილი, საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-21 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, თბ., 1990. 62
29. გაზ. «სახალხო საქმე», 1917 წ. №№ 62, 63, 66 და 68. ეს მოხსენება გარკვეული ცვლილებებით შემდეგში დაიბეჭდა თსუ შრომებში. XXXIII, 1948 წ.
30. ივანე ჯავახიშვილი, ქართული უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობის შესახებ, თსუ შრომები, 1948 წ. გვ. 10
31. ივანე ჯავახიშვილი, ქართული უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობის შესახებ, თსუ შრომები, 1948 წ. გვ.11.
32. ამის შესახებ ვ. ნოზაძე მიუთითებს: «ოსმალის აგენტები შეესივნენ მესხეთს და შეადგინეს მუსულმანური რაზმები, რომელთაც ხელთ იგდეს 19 მარტს 1918 წელს არდაგანი, _ დაიწყო საერთო აღრევა და ქრისტიან მცხოვრებთა ლტოლვილობა» (ვ. ნოზაძე, საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო, თბ., 1989, გვ. 23) ამიერკავკასიის ხელისუფლების აზერბაიჯანელი წარმომადგენელი «ფართო ქადგებით მაჰმადიანურ მოსახლეობას მესხეთში და სხვაგან აჯანყებდნენ, აწერინებდნენ თხოვნებს ოსმალეთთან დაბრუნების შესახებ» (ნოზაძე, საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო, თბ., 1989, გვ. 30)
33. ივანე ჯავახიშვილი რატომღაც დაღესტნელებს გამოყოფს დანარჩენ ჩრდილო კავკასიელებისაგან. ამ უკანასკნელთ იგი მოიხსენიებს ტერმინით «მთეული». გარდა ამისა, მეცნიერი ქართულ საისტორიო წყაროებზე დაყრდნობით ერთმანეთისაგან ანსხვავებს ტერმინებს «მთიული» და «მთეული». პირველი გუდამაყარის ხეობის ჩრდილო-დასავლეთით მდინარეების არაგვისა და ქსანს შორისა მცხოვრებ ქართველთა ერთ ჯგუფს ერქვა. ხოლო ტერმინი «მთეულს» კი «საზოგადო, შემკრებლობითი მნიშვნელობა ჰქონდა» და საერთოდ მთიელებს ეწოდებოდა, რომელთა რიგებში იგულისხმებოდნენ, როგორც ქართველები, ისე არაქართველებიც. აქ

კი ტერმინს «მთეული» იგი იყენებს ჩრდილო კავკასიელების აღსანიშნავად. ივანე ჯავახიშვილი, თხზ. 12 ტომად. ტ. II. თბ. 1983. გვ. 42.

34. ივანე ჯავახიშვილი, ქართველების სამშობლო და უძველესი ბინადრობა. წიგნში: ქართველი ერის ისტორია, წიგნი I. ტფილისი, 1908 წ. გვ. 11-61.

35. ივანე ჯავახიშვილი, ქართული უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობის შესახებ, თსუ შრომები, 1948 წ. გვ. 11.